

აჭარისტანი

ერთი გვერდი 100 მანკა
 ნახევარი გვერდი 50 მანკა
 მეოთხედი გვერდი 30 მანკა
 მასალები და ფულები გამოგზავნილ უნდა იქონიას
 ნას შემდეგი მისამართით:
 ბათომი, ქართული შეს. № 16. გრ. ნუცუბიძეს

№ 3 უმველთვიური საგზაბრო-საილიუსტრაციო ჟურნალი მარტი, 1926 წ.

აჭარისტანის საგზოთა მე-VI ყრილობა.



18 მარტს, საღაშოს 7 საათზე აკადემიურ თეატრში ვაიხსნა სრ-აჭარისტანის საბჭოთა მე-4 ყრილობა აშხ. მოედინ სურმანიძის თავმჯდომარეობით. დარბაზი გაკედლილია ხალხით. ასეთი ერთსულოვანი ყრილობა ჯერ აჭარისტანს არ ახსოვს.

ს.კ.პ. (ბ.) ცეკას და საქართველოს მთავრობის სახელით მიესალმა ყრილობას აშხ. შ. კახიანი:

— 5 წლის წინეთ მოვიდა საქართველოში ოქტომბერი, მაშინვე აფრიალდა თავისუფლების დროშა პატარა აჭარისტანშიც. ის ბრძოლა, რომელსაც საქართველო და აჭარისტანი ეწეოდენ ერთად, ის აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც ჩვენ ერთად ვაწარმოებთ. აერთებს ამ ოჯ მხარეს ისეთი მტკიცე კავშირით, რომლის დარღვევა არაერთარ ძალას არ შეუძლია! (მკუხარე ტაში).

აშხ თ. უდენტის მისალმება:

— 5 წლის წინეთ ბედნიერება გვექონდა აგვეფრიალებია წითელი დროშა აჭარისტანშიაც. 5 წლის წინეთ დაიწყო აჭარელ გლეხის გამოფხიზლება. რა იყო მანამდე ჩვენს ქვეყანაში? ეროვნული შუღლი, მონობა, დაბეჩაება?

18 მარტს კი დაძმობილდა აჭარელი გლეხი და ქართველი მუშა! (ხანგრძლივი ტაში).

აშხ. შ. სურმანიძის მისალმება:

— ამხანაგებო! აჭარისტანის შშრომელი ხალხი უკვე დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად ერთი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია დაიცვას მუშისა და გლეხის ინტერესები. თუ წინეთ ჩვენ თავისუფლათ სიტყვის თქმის უფლება არ გვექონდა, ეხლა აქ ვიკრიბებით, რომ ავიჩიოთ საკუთარი მთავრობა, ვიმსჯელოთ ჩვენ საქმეზე. ეს კომპა უტიის და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამაჯვებაა! (ტაში).

აშხ. მემედ გოგიბერიძის სიტყვა.

— ამხანაგებო! მე-4 ყრილობის შემდეგ აჭარისტანმა მრავალი მნიშვნელოვანი შემთხვევები განიცადა, მაგრამ აჭარისტანის შშრომელი ხალხი საკმაოდ მტკიცე გამოდგა და არ წამოეგო პროფკავციის ანკესზე, მტერს სიხარულის საბაბი არ მისცა და აირჩია ხალხის ინტერესების ნამდვილი დამცველი საბჭოები. (მხურვალე ტაში).

ყრილობის მუშაობა გაგრძელდა 3 დღეს. 20 მარტს ყრილობამ აირჩია ახალი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ღღაპრი, რომლის გარდა

შეინძრა მიწა.
 თითქოს მზე გასკდა და გულიდან ცეცხლი დაყარა.
 ქუჩებში სცემდნენ ვახულებით ფოლადის საგნებს.
 წუთით ქვეყანა ცეცხლში იდგა ვით რომ სახარა.
 აბოტუქრებდა ბრბოს ხმაური ოქტომბრის ქარხნებს.

აქ გასაკვირი დამერწმუნეთ არ არის დიდი.
 ეს იყო მძაფრი მოვარდნილი რისხვა თამაში
 ეს იყო მძაფრი მოვარდნილი რისხვა თამაში
 იმარხებოდა სამუდამოთ ცხოვრება ფლიდი.
 ეს იყო ტანჯვა საბოლოო ვით ერთი წამი.

ო, მეგობარო უცნაურდებით
 წითელ ალების ელვარე თქვეში
 ჩვენ მზის გზებიდან ნუ დავბრუნდებით.
 დღეს ცეცხლს ჩავაქცევთ სიმწუხარეში.

იწვის აზია დღეს მხურვალებით.
 არსად ცა არ სჩანს დღეს მონარტლები.
 ვზებრავთ მსოფლიოს ელვის თვალებით.
 ცხელ სფინქს მდუმარეს გაუბვით შუბლი.

ამერდა ყველა პოეტები—
 მწუხარე ხმებით.
 როცა ლენინი მოდიოდა წითელ მშვენივით.
 სდგას პოეზიის არტილერია.
 ჩვენ გავისროლით ყველგან შრაპნელებს.
 ჩვენზედ ძლიერათ ვის უმღერია.
 დრო ანთებულნი წარსულს აბნელებს.

ჩვენ ვსცემთ საყვირებს—
 ხმებს ვატანთ შორს ურავანს და ქარს.
 და უხმობთ ყველას—
 ჩაგრულ ხალხთა დარაზმულ ლაშქარს.
 მსოფლიოს ვხაზავთ დღეს სხვაგვარ რუქით.

და არსად საზღვრებს აღარ ვამყარებთ.
 აწ გადავიარეთ ყველგან ქარბუქით.
 მილიარდ გულებს გვეწამს გავაზარებთ.
 ვხედვით დაქცეულ სისხლის ნიაღვარს.
 უდაბნოს გზებზე ავარდნილ ტალღებს.
 ვერვინ შეზღუდავს მომსკდარ ნიაგარს.
 ჩვენ ბრძოლით ავხსნით ქვეყანას თალებს.

ყველა კერპები შემკრთალი სხედან,
 წითელი ლანი გამოჩნდა როცა.
 ველარ გამოდის წმინდანი კლიდიან.
 ხალხმა დამერთები ყველა დახოცა.

პოეზიაში ცრემლი სთესია
 ტანჯულ გულების.
 იყო ლენინი, დიდი მესია!
 დაჩაგრულების.

ეს ეპოქები. დრო. ჟამი. წლები.
 გაიარს ასი და უთვალავი.
 ჩაიშარხება ძველ ქვეყნის ძვლები.
 იმეფებს შრომა დაუღალავი.
 თავისუფლებას სიყვარულით ხალხმა შეფიცა.
 და მით ვნაეარდობთ დღეს ცის სიერციით მაღალ
 გრივალში.

ჩვენ წარმოვშობთ დიდი ტანჯვით ახალი მიწა.
 და ძველ ცას ვიღებთ თვალ გამართვით დღეს კი
 ნიშანში.

გავაჯანსაღეთ და კვლავ ვსქედავთ წითელ პროპელერს.
 ჩვენმა ფოლადის ფრინველებმა გადაიმღერეს.

ო, მეგობრებო უცნაურდებით.
 წითელ ალების ელვარი თქვეში.
 ჩვენ მზის გზებიდან ნუ დავბრუნდებით
 ჩვენ ცეცხლს ჩავაქცევთ სიმწუხარეში.

შალვა სიგელი.

შენთვის უსხოა დაბერება...

ალთქმის მხარეში შენ ფიქრები დაგიდიოდა
 და იღლებოდა უწინ სხვისთვის შენი ილაჯი.
 ო, შენ განათლავდნენ მორჩილ მონად და იდიოტად.
 შენ ძველ ეპოქებს ამაყ ზურგზე გადაალაჯე.

გულკაჯს და მაღალს მოთმინება გეყო იობის:
 საუკუნენი დაატარეს შენმა ხელებმა.
 შენ, უჩინარო წინანძლოლო კაცობრიობის!
 იცი მედგარი აფიცება და გახელება.

ავი ყისმათი თუმც ხანდახან ცუდათ გიმეტებს...
 მძლე გაქანებას არტანები უხვად რკალავდა,
 მაგრამ უშიშრად გულში ზრდილი ამაყ იმედებს,
 შორეული მზის ელვარება გულს გიკალავდა.

შენთვის უცხოა დაბერება, ობი და ჟანგი:
 ძლიერ შეტევით სამშვიდობოს უახლოვდებით,
 დაასამარო გსურს ამ ქვეყნად ხალხი კრიჟანგი
 და გაატანო ქარიზხალღებს მიწის ცოდვები.

შენი მკლავები მთელ ქვეყანას ესაძირკვლებს
 და მძლავრი ქმენა აზიდავდა მაგ მკერდს ოფლიანს.
 შეეღამეებში ეკლიან გზას ბრძოლით იკვლევდი,
 რომ სიხარული მორთმეოდა ტანჯულ მსოფლიოს.

დიდი ნაწილი დედამიწის შენ ხელთ გიპყრია,
 მხსნელს გიწოდებენ შენი ძმები უცხო მხარიდან,
 შემომტერეული ბორკილები შორს გაგიყრია,
 აწ ვერ მოგვწვდება მტრის ხარხარი ყრუ სამარიდან.

იტანჯე, მანამ არ შესწყვეტდე სულ წინ სიარულს,
 შენი ყვილი მტრებისათვის ეშაფოტია
 და გამარჯვება მოგანიკებს ნანატრ სიხარულს,
 რადგან გამაგრებს კვლავ სიმღერა ეყენ პოტიეს *).

ნათელი რწმენა გაფოლადებს და გაგარვალებს,
 თუმცა მარცხისგან არა ერთ გზის დაგიკენსია.
 სალაში მუშას კეთილშობილს... ზიზლი მტარვალებს,
 დღეს ქებით ამკობს პოეზია მუშას—მესიას.

) ეყენ პოტიე—ინტერნაციონალის ავტორი.

ქართული სიტყვიერება.

(საუბარი მუშავაკელთან)

I.

სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრების გავლენა ხალხთა სიტყვიერებაზე.—ქართულ სიტყვიერების ისტორიის შესწავლის მდგომარეობა და ჩვენი მიზანი.—პატრული ეკის ეკონომიკური ცხოვრების ხასიათი საზოგადო რსაუკუნეებში.—ქართული სიტყვიერების საერთო დახასიათება.—მისი ფორმა და შინაარსი.

როგორც მწერლობა, ისე საერთოდ სიტყვიერება ამა თუ იმ ერის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრების ანარქია. იგი ცხოვრების სინამდვილე-ის მატერიალური სახეა. თვითველ ერის ისტორია წარმოადგენს ერის ბრძოლას ბუნების სტიქიურ ძალებთან. მაგრამ ამ ბრძოლაში ერი სხვადასხვა სოციალურ კლასებათ დაყოფილი გამოდის. სიტყვიერებაც, როგორც ცხოვრების ანარქია, უპირველესათ ამ სხვა და სხვა კლასებათ დაყოფილ საზოგადოების ბრძოლას გამოხატავს. ამიტომ ერის სიტყვიერების გაგება კლასთა ბრძოლის ისტორიის გარეშე შეუძლებელია. იგივე ითქმის ლიტერატურაზე. სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა გაგება და მისი საერთოდ დახასიათება ამა თუ იმ ეპოქაში არ შეიძლება კლასთა ბრძოლის ისტორიის გარეშე, რადგან ყოველგვარი ცვლილება ერის სამეურნეო ცხოვრებაში ლიტერატურის მთავარ ფაქტორათ ხდება. მაგრამ ზოგმა ვერ გაიგო და ზოგამაც არ მორინდომა ამ ქეშმარტების გაგება და მკვლევართა უმრავლესობა სულ სხვა საზომით უდგებოდა და არაკვედა მწერლობის და სიტყვიერების ისტორიის საერთოდ. დღემდე მკვლევართა უმრავლესობა მას ფილოლოგიური თვალსაზრისით უდგებოდა და უკიდურეს შემთხვევაში მის ესტეტიკურ ანალიზით ემაყოფილებოდა, რის გამოც ლიტერატურაში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ნაკვალავი, ფორმის სიტყვით რომ ვსთქვათ, სხვადასხვა მწერალთა სურათებისგალერვა ვეცხატებოდა. „ეს ბედი ეწვია საერთოდ ყველა ერის ლიტერატურას ორიოდ მეცხრეის ნაშრომის გამოკლებით. რაც შეეხება ქართულ მწერლობას, მისი ზემოთ აღნიშნულ საზომით გაშუქება განსაკუთრებით ძნელდება. ძნელდება ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ჯერაც არა გვაქვს დამუშავებული შესაფერი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ისტორია და მეორეც—ჩვენ სალიტერატურო მკვლევები ჯერ კიდევ არ არის საესებით აღმოჩენილი და შესწავლილი. მიუხედავად ამ სინდლისა ჩვენ მაინც შევეცდებით ქართულ სიტყვიერების განხილვას ზემოთ ნახსენებ მეთოდით და გვეყრა, რომ ეს მცირეოდენ ნაყოფს მაინც მოიტანს. ამ მიზნით იწყებება ეს წერილი, ან უკეთ ვსთქვათ კონსპექტი ჩვენი სიტყვიერების შესწავლით დაინტერესებულ ახალგაზრდობისათვის.

ისე, როგორც ყველგან, საშუალო საუკუნეებში, საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებას ნატურალური მეურნეობა ახასიათებდა ყოველგვარი საქონელი მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით მზადდებოდა და სამეურნეო ცხოვრებაში მთავარი ადგილი მიწის დამუშავებას ეჭირა. მიწის, ან ძველი ქართულით რომ ვსთქვათ „ქვეყნის“ დამუშავება არსებობის მთავარი წყარო იყო. ადამიანის ბედი საესებით მიწის მოსავალზე იყო დამოკიდებული. მიწის მოსავალი კი დაკავშირებული იყო ბუნების სტიქიურ მოვლენებთან. ამის გამო ადამიანის ბედი ყოველთვის საფრთხეში იმყოფებოდა. გვალვა, კოხი, წყალდიდობა ყველაფერი მას შიმშილით და დაღუპვით ემუქრებოდა. ის გრძობდა თავის უმლურებას ბუნების ძალებთან და ეს კიდევ უფრო აუარესებდა მის უბედურებას. მას არ შეეძლო მეცნიერულათ აეხსნა ბუნების მოვლენები. ის ბუნების მოძრაობაში როდესაც ძალის გამოხატავს ხედავდა, აღმერთებდა მას და შიშსა და მოწივებას გრძობდა მის წინაშე. რადგან ადამიანი ფიქრობდა, რომ ბუნებას მის გარეშე არსებული ძალა ამოძრავებს, მთელ თავის იმე-

დებს მასზე ამყარებდა. ეს კი ხელს უშლიდა და ანელებდა მის კულტურულათ განვითარებას. იგი ხშირად ხელგულ დაკრძალი შეეუბნა ზეციურ ძალებს, მისგან ელოდა ხსნას, გადაარჩენას. ამიტომ ბუნების ჩვეულებრივი მოვლენებიც კი მას ბედნიერების, ან უბედურების ნიშნათ, სასწაულათ ეჩვენებოდა. მისი აზრით სასწაულს შეეძლო ის განეკურნა, ემზარებია ყოველგვარი საფრთხე და ქეშმარტების გაზე დაუყენებია. (Философия и истор. Зн.—истор. литературы).

ეს საერთო ფსიხოლოგიური თვისება ნატურალური მეურნეობის ხანის ადამიანისა ქართულ სიტყვიერებაშიც იხატება. ყველა მითები, საგმირო ლექსები, საისტორიო თქმულებანი და საერთოდ ამ დროის ყველა ნიმუში მისევე სასწაულებით და ფანტასტიკური შინაარსისაა.

როცა ამირანი მიდის კამარ ქალის მოსატაცებლათ და მის კოშკში შედის, ჯარის ვერაფრით ვერ აჩრებს. გაჯაერებული ამხვრევს, მისი ნამსხვრევები კამარის მამასთან მიდიან და მის მოტაცების ამბავს ატკობინებენ. ხალხს გონია. რომ შესაძლებელია ადამიანის გაქცევა და ამგვარი სასწაული მრავალ ლეგენდებშია მოთხრობილი. ამირანის თქმულებაში თავიე ლაპარაკს იწყებს, ბალახით აცოცხლებს თავის შვილს და შემდეგ კამარ ქალიც იმავე ბალახით აცოცხლებს კამარის მამის ლაშქართან ბრძოლაში მოკლულ ამირანს და მის დახოცილ ძმებს. ამის მსგავსი სასწაულები თვით XIII - XV საუკუნეებში შექმნილ „რუსუდანიანშიც“ მრავლათ გვახვდება. ერთ თქმულებაში არა თუ ცხოველი, თვით უსულა საგანი—ქარიც კი ლაპარაკობს: როცა მძინარე ღვეებს ნაქარქეჟია ნატურის თვალს პარავს კარი ჰოიჭინს იწყებს და იხანის: „სტუმარმა ნატურის ფავი მოიპარა“. ხალხის ცრუმორწმუნობას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ქრისტიანული რელიგიაც სამღვდლოება ავრცელებდა ისეთ „სასწაულებს“, როგორც არის მოსეს ზღვაში გასვლა, ღვთის გამოცხადება აბრაამთან. ათი მცნების მიღება, ცეცხლის სვეტის გამოჩენა. ქრისტეს ცხოვრება, მისი მკვდრეთით აღდგომა და სხ. ამავე დროს ქართველი სამღვდლოება, ისე, როგორც ევროპაში კათოლიკური ეკლესია, ხალხს ასწავლიდა რომ ეს ქვეყანა ღვთის სოფელია და ადამიანის ამ ქვეყნიურ ცხოვრების მიზანი საიქიო მარადიულ ცხოვრებისათვის მომზადებაა. რელიგიის გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანის აზროვნება „სასწაულებში“ სურათებით იფხებოდა. ის ყურადღებას აღარ აქცევდა სინამდვილეს, სააქაო ცხოვრებას. ბუნების უბრალო ცვლილება. რელიგიური მოთხრობათ წარმოდგენა ყოველთვის ავიწყებდა სინამდვილეს, კარგავდა მის აზროვნებაში ქვეყნიურ ცხოვრების მნიშვნელობას, აგონებდა ღმერთს, საიქიოს და იგი მეოცნებე, ფანტაზიური ხდებოდა.

როგორც ზევით დაინახეთ ნატურალისტურ მეურნეობის ხანის ადამიანის მთავარი თვისება სასწაულების რწმენა და მეოცნებობა იყო. ეს მისი თვისება ხალხურ სიტყვიერებაშიც გამოისახა: ამ ხანში შექმნილი სიტყვიერების ყველა ნიმუში მისევე ფანტასტიკური ელემენტებით.

ბუნების მოვლენებით დაშინებულს და რელიგიის გავლენაში მოქცეულ ადამიანს საყროდა რომ სააქაო ცხოვრება „ამაოებათა ამაოებაა“, რომ მისთვის ამ ქვეყანაზე ხსნა არ არსებობს, რომ მას სიკვდილი არ აშორდება. ამიტომ აქცევდა საიქიო ცხოვრებას მეტ ყურად-

ლებას და სააქაოზე გულგატეხილი პესიმისტი ხდებოდა. ამიტომ ზოგიერთი ქართული თქმულებაც იმ აზრს ატარებს, რომ ადამიანის მომავალი მის ბედის წერაზეა დამოკიდებული. მისი წება შეზღუდულია, მისი ბედი თავიდანვე განსაზღვრულია და ის თავის წერას ვერსად ვერ გააქცევს.

ადამიანს ეგონა რომ მისი ბედის გაგება შესაძლებელი იყო სასწაულების საშუალებით. ამიტომ ბუნების სხვადასხვა მოვლენებს მისთვის არ ქონდა პირდაპირი მნიშვნელობა. ეს მოვლენები, ან სასწაულები—მისთვის რაიმე ახალი მოვლენის—ბედნიერების, ან უბედურების მომასწავებელი იყო. მას ხშირათ დღევანდელი ადამიანისათვის ადვილათ ასახსნელი მოვლენა, რაიმე ახალი მოვლენების ნიშნათ—ალეგორიით ეჩვენებოდა: მხის დამნელება, ყვების ჩხაველი, ჩიტის დაძახება და საღამოს მამლის ყვილიც კი ჩვენში დღესაც დიდი უბედურების მომასწავებელია და ადრე ხომ ღვთის რისხვით მიაჩნდათ. ერთი სიტყვით საშუალო საუკუნის ადამიანისთვის ნივთებს და მოვლენებს არაპირდაპირი—ალეგორიული მნიშვნელობა ქონდა.

ადამიანის ბედის გამოსაცნობათ ყველაზე საუკეთესო ნიშანი სიზმარი იყო და ჩვენი ხალხიც „სიზმრის ასხნას“ ყველაზე მეტათ ეტანებოდა. სიზმრისა და ბუნების მოვლენების ალეგორიულათ გაგების საუკეთესო ნიმუშია ერთი ხალხური ლექსი „სიზმარი“. შინაარსი ასეთია: ერთმა ქალმა ძილში ნახა რომ ალვის ხე წამოიქცა და მას ტოტები ემსხვრეოდა, ვაზს ფურცელი ცვიოდა, ლურჯი წყალი მოდიოდა, მას კი კიღობანი მიქონდა, კიღობანში ევრცხლის თასი იყო და თვალ მარგალიტი ეყარა. ეზოში ძროხა ბღაეოდა, ტყეში ირემი ყვიროდა და სხვა. ამ სიზმარს შეილი დედას უამბობს, დედა კი ასე უხსნის თითოეულ მოვლენის მნიშვნელობას:

„ალვის ხე რომ წამოიქცა—შვილო შენი ტანი არის, მას რომ ტოტები ემტერება—შვილო შენი ძკაეგებია; ვაზს რომ ფურცელი სცივოდა—შვილო შენი ქოჩორია, ლურჯი წყალი მოდიოდა—შვილო შენი ცრემლებია, თან კიღობანი მიქონდა—შვილო შენი კუბო არის, შიღ რომ ევრცხლის თასი იყო—შვილო შენი სახე არის, ხეღ მარგალიტი ენა—შვილო შენი სტილებია, ეზოში ძროხა ბღაეოდა—შვილო დედა შენი არის, ტყეში ირემი ყვიროდა—შვილო მამა შენი არის, ვაჟ შენ დედასაო და სხ.

როგორც ვხედავთ ნატურალურ მეურნეობის ხანაში ხალხი ბუნების მოვლენებს ალეგორიულათ ხსნის და ეს თვისება მისი სიტყვიერების ფორმაცზე გადავიდა. ამიტომ მთელი საშუალო საუკუნოების ქართული სიტყვიერებაც ალეგორიული ფორმისაა. ეს ფორმა გაბატონებულია განსაკუთრებით 19 საუკუნემდე და თვით შოთა რუსთველიც ისე როგორც უცხო ქვეყნის მწერლებიც (დანტე, ლენგლენდი და სხვ.) მით უხვათ სარგებლობს, თავის ნაწარმოების მომქმედ პირთა გარეგნობის პირდაპირ გადმოცემას ყოველთვის ერიდება (გარდა ფატმანისა, რომელიც, როგორც სწავს მგოსნისთვის არასიმპატიური ტიპია) და მათ გარეგნობას „ლერწმის“, „ბროლი-მინის“, „ვარდის“, „ლომის“, „ვეფხვის“ და სხვა მოვლენათა საშვალებით გვიხატავს.

ნესტანის დაშორებით გამოწვეულ ტარიელის სახის გაფერძკრთალებას რუსთველი ასე გვისახავს:

„ზაფრანის ფერათ შესცვლია
ბროლი (თეთრი სახე) ცრემლისა ბანამან...“

როცა ავთანდილი მას ნესტანის წერილს ვადასცემს, ტარიელი სიხარულით გონებას კარავს. როცა გონს მოღის მისი გაღვიძება და თვალის გახელა რუსთველს იშვიათი ხელოვნებით აქვს გადმოცემული:

„ავთანდილ მკერდსა დაასხა
„მას ლომსა სისხლი ლომისა,
„ტარიელ შეკრთა შეიძრა
„ოაზში ინდოთა ტომისა (წამწამები);

ქალი რეალიანი

ო, უნაზესო. და პოეტის უცხო ლეთაებაე, იყავ მაღლ-მოსილ შავ დალაღთა მარუქე თმები, რომ მოგიპოვო ჩემს ლექსებში შენ უქვდაეება, მიიღე სიტყვა შენის ეშხით ნაჩუქურთმები.

ვიცი: დამლუბავს ეს უფილლო ჩემი მგოსნება, თუ ცას სილურჯე არ დავსტყუე ღიმეღ ვართული. რა წამებაა სიყვარულით ასხივოსნება! ახ! ვალიაა და არ მყოფნის მიწა ქართული.

მსურს მთას გადაღმა გაღვიხედო. თვალ დანამული, რომ თავიული შეგიმზადო იის და ვარდის. არონის კევრთხით მსურს გავაპო ზღვა მწწამული, შენი აჩრდილი თუ მომისწრებს გზაზე დავარდნილს.

თანამგზავრად გყავს თეთრ ვარსკვლავთა ნილიარდები

და წინ მიუძღვი პლანეტებში მგზავრი მარადი... როგორ კიაფობს ზღვა თვალეში ბრილიანტები: გაიმართება უჩვეულო სხივთა პარადი.

სახეს გიფარჩავს მისტიური თეთრი ვუალი, როგორც ცისფერი მოლანდება ნაზი პოეტის. მე წინ მესხნება ნაპრალები, გზა გაუვალი და კვლავ მიქირავს არტახები მიეთ-მოეთის.

შენსკენ მომფრენს ისევე ფიქრი მძიმე და ზანტი, გემულარები სისასტიკეს ნუ გამოიჩენ... მე ჯოჯოხეთში დავინახავ წამებულ დანტეს, ხელეღ გაპყრობით რა შეხარის ის ბეატრიჩეს.

შენთვის ზღაპარს თხზავს კლიდინა წყარო გამოჩაქური.

მინდა მოგიძღვნა ქინძისთავად მთვარე მრგვალი და ოქროთანაცვალად, დე, მზე გქონდეს შენ სამა-

ჯურად, მაგრამ მოთხარი ვინ ჩამოგქნა ასე რვალიდან.

გ ე მ ა .

ალეგორებით კიდევ უფრო უხვათ სარგებლობს პოეტი ტარიელის დაბნელების გამო შეწუხებულ ავთანდილის ტირილის გადმოცემის დროს.


„ავთანდილ დაჯდა ტირილად
„ტირს ხმითა მშვენიერითა
„ყოჩანსა ვაგლეჯს ხშირ-ხშირად
„აფრთხობს ბროლისა (ცრემლის) ქერითა
„გახეთქა ლალი გათილი (ლოყა)
„ანდამატისა კვერითა
„მუნით წყარონი (სისხლის ნაკადი) გამოჩნდეს;
„ძოწსა ვამსგავსე ფერითა“.

ამგვართ როგორც ზემოაღნიშნულ ნიმუშებში დავინახეთ ნატურალისტურ მეურნეობის ხანის ქართულ სიტყვიერებას ალეგორიული ფორმა და ფანტასტიური შინაარსი აქვს.

ს. წაველი.

(გაგრძელება იქნება).

საქართველოს წითელი არმია 5 წლის თავზე.



საქართველოს წითელი ჯარის 5 წლის თავის აღსანიშნავად 21 მარტს ბათუმში, აზიის მოედანზე გაიმართა დიდი აღლუმი. ჩვენს სურათზე: 1. აჭარელ ქალთა სახელი ი აღლუმა ესალუება ამხ. ნუნუშ ზერიძე. 2. აჭარისტანის მთავრობის სახელით სიტყვა ამბოხს ამხ. მკვეჯ გოჯიქიძე. 3. აჭარელი კლდეი ამხ. იუიუ ბერიძე სალამს უძღვნის საქართველოს წითელ ლაქარს. 4. დიკიზის უფროსი ამხ. იანოკიკი 5. აჭარის ეანის სახკომსაბჱოს თავმჯდომარე ამხ. მეხედ გოგიბერიძე იბარებს აღლუმს.

18 მარტი

დღეს კიდევ უფრო გაანათებ ასხიფერდები, —
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტვერი,
აყივლდებიან არწივები ლალ ჩუქურთმებით,
შავ, თაღის პერანგს შეიკერავს ბოროტი მტერი.
დეე, გაიგონ რომ შენცა ხარ, მსოფლიოს წვერი,
გიყვარს სიცოცხლე, განსაცდელის წინ არ ჩერდები,
თუ გაიღესავე ვინმე კბილებს შენს საკაწრავად,
ჯოჯოხეთს დასწვავ — მტრის წინააღმდეგ
აბობოქრდები.
აჭარისტანო, — ტურუა მხარე, ტურუა ქვეყანავ!

უკეთეს შვილთა სისხლით მორწყე — ტყე, მთის
ფერდები.
დანაშაული აღიარონ შრომის საყდარში.
და მოკრძალებით მოიხარონ, შენ წინ ქედები.
დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხიფერდები,
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტვერი.
აყივლდებიან არწივები მაშვრალთა ბაღში,
დაინახვენ შენი მტრები, რომ არ ბერდები.
პ. გომავაშკალი.



ხალხური ლექსი.¹⁾

კოლექტივიზმ

ხელმწიფის ქალიშვილმა სთქვა: ვინც
 გამოსთქვამს ლექს, რომელიც დახატავს ჩემს
 სილამაზეს, ამიწერს თვალს, ცხვირს, თმას,
 ტუჩს, ლოყას და სხ. ისე, რომ დაბოლოვდე-
 ბოდეს „ებრო“-თი, ე. ი. ბრძანებით, იმას
 წაეყვები ცოლადო. ამაზე ერთმა მწყემსმა გა-
 მოსთქვა ლექსი, რომლითაც მოხიბლა მეფის
 კეკეუტი ქალი.

თავად და თავად ერქვალო
 ხელმწიფის მეიდნისებრო,
 ზედან ლამაზო თმანებო
 დაწნილო სიმუხისებრო.
 ზედან შუბლო და ლამაზო,
 საწერად ქალღმერთისებრო,
 იქით და აქეთ წარბებო
 ზღვაში გველეშაპისებრო,
 იქით და აქეთ თვალებო
 ცაში ვარსკვლავებისებრო.
 ზედან ლამაზო წამწამო
 გაშლილო ორბის ფრთისებრო.
 ზედან ლამაზო და ცხვირო
 ჩამოქნილ სანთელისებრო.
 ზედან ტუჩო და ლამაზო
 ყირმიზი²⁾ გულილისებრო³⁾.
 იქით და აქეთ ლოყებო
 ყირმიზი ვაშლებისებრო.
 შითა ლამაზო კბილებო
 საწერად სედფისებრო⁴⁾.
 შით რომე ენა გიბრუნავს
 რიონის კალმახისებრო.
 ზედან ლამაზო ნიკაპო
 ვერცხლის ნატეხებისებრო.
 ზედან ლამაზო კისერო,
 კისერო აღვის ხისებრო.
 იქით და აქეთ მკლავებო
 ცხენის მათრახებისებრო.
 ზედან ლამაზო თითებო
 ქართობის სანთელისებრო
 იქით და აქეთ გვერდებო
 ჩეგურის⁵⁾ ალღებისებრო.
 ზედ ლამაზო ძუძუებო
 ყირმიზი მუშკებისებრო.
 ზედან ლამაზო მუცელი
 მინდვრის ყაყაჩისებრო.
 ზედან ლამაზო და კიპო
 ცის კიდის ვარსკვლავისებრო⁶⁾
 იქით და აქეთ მუხლებო
 გამზადარი ჭანგლებისებრო.
 იქით და აქეთ ფეხებო,
 ფეხებო ლაღის ქვისებრო.

ვიდექი ხილზე და ქვეშ მტკვარი, მღვრიე, გიემაჟი,
 მძაფრ ნიაღვარად მიჰქროდა, ვით ზღაპრული რაში,
 მიბუყებუებდა, ვით დაღვრილი სვირის მაქარი,
 და იყო მისი სვლა ისე მძლე, როგორც რომ ჩქარი!...
 დამძიმებული ხე-ხუვებით, დიდრონ ტივებით!
 დამძიმებული ამატებულ ატივტივებით...
 და ესთქვი: „ერთია და ძლიერი წყალი—გიგანტი,
 დამნგრევი მთაში არა ერთი კლდისა, თუ ღრანტის,
 დაუნდობელად მომხები ზედ დანაპირების,
 წამლეკი არხის, გზა-ხიდეების და ნაპირების,
 კალაპოტების გამღრმავები, გამფართოები,
 რომ შურით დასდენენ ეგ ხევები, ეგ ღარდოები,
 რა ნახონ ძალა მისი ნების, გოლიათური,
 მისი დიდება ერთარსული, სვლა—ბაღდათური!“
 კვლავ ესთქვი: „ერთია ეს ძლიერი წყალი-გიგანტი,
 დამნგრევი არა ერთის მთისა, კლდისა და ღრანტის!“
 მაგრამ, ჩუ!... წყალი ქვევით ქვის ბურჯს ეტყვია უცბათ:
 ჯერე გათეთრდა, კვლავ გაფითრდა, დაიფქვა ქუფრათ...
 და ერთი წვეთი, დასხლეტილი ანაზღეულად,
 მეცა სახეში ისე ცივად, ისე გრძნეულად,
 რომ ჯერ შემაკროთო და მხვლეტ ფიქრად კვლავ დამესია,
 და ესთქვი: ეს წვეთი თვით რკინაზეც უკალმესია!
 ეს ერთი წვეთი! და იქ კი... იქ ის წყლის ტალღები
 ხომ ასეთ წვეთთა უთვალავის არის გამღები!
 თვითონ ტალღებიც, უთვალავნი, დიდრონ ზვირთებათ.
 რომ არხს უწყვეტა შეუწყვეტლივ მოძრავ ტვირთებათ!...
 ეს ტვირთები კი ურიცხვ მტვირთავთ ერეკებიან,
 მტვირთავნიც, ტვირთით განტვირთულნი, არსად დრკებიან...
 და ილტვის აქ ეს, არა ერთი,—უამრავობა
 მხოლოთ ერთის გზით—ერთი ტევა და მოძრაობა!...
 და ეს ტალღებიც, ეს ზვირთებიც, ზედ-ეს ტივები,
 მძლე თუ არიან,—როგორც ძალთა კოლექტივები!...

6. ზომილითელი.

ზედან ლამაზო ფრჩხილებო
 თეთრი ქეჭხრიბანისებრო.
 უკეთესი არ იქნება
 ამომავალი მზისებრო.

1) ნაამბობი ჰ. კომპიძისა, ჩაწერილი ვლ. არაბელიძისაგან.
 2) გულიალი—მუშკი, სურნელოვანი სითხე.
 3) ყირმიზი—წითელი.
 4) სედფი—საბილის ბელიდან გამოკვეთილი ღილეტი.
 5) ჩეგური—ჩანჭური, საკრავი იარაღი.
 6) გამომუშვებულია 4 სტრიქონი, სადაც გაბედულათ არის შეღ-
 კობილი ქალის სქესობრივი ორგანო. ლექსი მთლიანად ეურნალის
 რედაქციის მიერ ინახება.

ჩაწერა და დაამუშავა გრ. მიქარაძე-მ.

იოლდაუ.

სუმურუნ სად ხარ, სუმურუნ... დარდი მაწვება ავთა დღეები ველარ დავები—მიდიან თავის-თავითა... ქუჩაში დარდი ვაგვრდე ამ დილით ვასაშრობადა. სუმურუნ ვისაც ვებგვანე, ვინაც ვაგვარდა, გშობა და ვინაც თვალებში ჩავიგო ღამე შავი და სანაბდე— ისეთი ნოხი ვაჩუქო სწევდებოდეს ხამადანამდე.

შეგხვდი და შენდევ ვერ გხვდავ, მოდი ხმა ისევ გამო ფიქრებში თვალეს ვალაგებ—იქნებ ვავიგო რამეო: ქარში გამდნარი გოგონა ხომ არვის გინახათო, თუ ნახოთ, ასე უთვარით: კარი დასტოვოს ღითოო, ან ეს გამიგე, ძმობილო, ასე შემაღვის სანამდე? სანამ ვაფინო ლანდები, აქედან ხანადანამდე.

თვალეში ფიქრი ჩავადე. წვიმაც მოვიდა ტიალი „იქნება წალბა ვიფიქრო ქვეყნის უკულმა ტრიალი“ ხანუმ იმედი ვაკივდა, გული სევდებით შევრახე უნდა გამონდე უთუოდ—როგორც ირემი შარახე, თორემ ვფიცავარ მივიდა საქმე სისხლსა და დანამდე ხალხიც ატირდა საბრალო აქედან ხამადანამდე.

ვიპბ. ვაგვასკირია.

გამოგვივლის ღლიშრიდან.

პროფესიით მეძავეი.

ქურციკივით დაფეთებულმა შემოაღო გამოძიებლის კამერის კარი. თმა ხუჭუქა, შეთვალა, ვშინანი—ლამაზ ქალის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ერთი შეხედვით ძველ „კურსისტკას“ მოგაგონებდათ, სადათ ჩაცმული, დაფიქრებული. მორიდებით მომაწოდა უწყება.

გადაეშალე „საქმე ბრალდებისა გამო მარიამ პეტრუშკინასი მაქანკლობაში, გათვალისწინებული სსკ 176 მ.

ქალის ბიოგრაფია უბრალო იყო: 22 წლისა, რუსი, საშველო განათლებით, ქმარ-გაყრილი, ქალაქ მაიკოპიდან, პროფესიით მეძავეი, უპარტიო, პასუხისგებაში არ ყოფილი.

პროფესიით მეძავეი. რა საშინელებაა! წინეთ როსკიპი უარყოფდა პროფესიას. ყვითელ ბილეთს აძლევდენ, იგი კი უარყოფდა.

ჩემი სტუმარი არ ირცხვენს. იგი მშვიდაა მახლის: პროფესიით მეძავეი. თითქოს შურს იძიებს: ივემეთ! მეძავეი ვარ პროფესიით, მხოლოდ პროფესიონარი არ გვაქვს. გრცხვენიათ? მართალი ხართ: უნდა გრცხვენოდესთ. მე არა. პროფესიის არ მრცხვენია.

მრცხვენია. მისი თვალები მართალს ამბობს მრცხვენია, რომ ამ ქალს, რომლის პროფესიაა წვალემა, დაკინვაა უნდა მიესყე ჩვეულებრივი, ათასჯერ განმეორებული კითხვები. მაგრამ ფორმალბას შესრულება უნდა.

— ხშირი სტუმარი ხართ პეტრუშკინასი?
— არა, არც თუ ისე ხშირი...

— მართო დღიხართ თუ დავაეთ ვინმე? ხერხს ვხმარობ. მინდა ცნობა გამოეტყუო, პეტრუშკინას ბრალდება, რომელიც მჯერა სინამდელია, დავამტკიცო.

— იცით რა... ქალი ვაბედულია, პირდაპირ მიყურებს.—დავანებოთ თავი კომედიას. მე იცი თქვენ რაც ვინდათ. თქვენ ვინდათ დავემოწმოს, რომ დავდივარ პეტრუშკინასას „სტუმრებით“, ვაძლევ საწოლის ქირას, რომ პეტრუშკინა მაქანკლობა. მე თქვენ ამაზე არ ვივასუხებთ.

— შეიძლება პეტრუშკინა—განავძო ქალმა—საძაგელი ადამიანია, შეიძლება იგი მეტს იღებს, ვიდრე მე, მაგრამ ის „სტუმრებით“, რომლებიც შემიძლია მობენ, განა პეტრუშკინაზე უარესები არ არიან?!

იგი ამაყად მიცქერდა, მესროდა საშინელ ბრალდებებს.

— იცით თქვენ ვინა ვარ მე, როგორც შევედი ამ პროფესიამდე?

— არა. მინდა კი ვავიგო.

— ჰო! ეგ ადილია. მე დავაკმაყოფილებ თქვენს ცნობისმოყვარეობას.

და ჩემ თვალწინ გაიშალა გზა მოკლე, მაგრამ მდიდარი ხეულებით.

— მე მშრომელთა ოჯახის წევრი ვარ: ისეთი, ვისთვისაც მოხდა რევოლუტია. ისეთი, ვისი ხელისუფლებაც დამყარდა. მაგრამ მე ქალი ვარ, ლამაზი ქალი და ეს ყველაფერს აბათილებს. ეს მართმევს მე ადამიანობის უფლებას.

— მამაჩემი წვრილი მოხელე იყო, დამონებული. მასწავლა, გზა გამიხსნა. მაგრამ მოხუცებულობამ მოუხსწრო, დაუძლურდა, ოჯახის რჩენა მე დამაწვა. პატარა და-ძმები, მოხუცი მშობლები. მე გაფაციკებით დავიწყე სამსახურის ძებნა. მშვიერმა ვისწავლე მანქანაზე ბეჭდვა, მშვიერი მივედი პირველათ სამსახურში, სადაც მე მიმიღეს მხოლოდ იმისთვის, რომ ლამაზი ვიყავი. და დაიწყო ნადირობა, სიყვარულის ფარჩაში ვახეუული ნადირობა. არც ქუჩაში, არც დაწესებულებაში არსად მოსვენება არ მქონდა. საჩუქარი, ქება, მიპატივება. ვამგე, ბუხგალტერი, მდივანი—ყველა ჩემ ფერხთ ქვეშ ეგდო. და ერთ მშვენიერ ღამეს, როცა ასე კარგია ზღვის ტალღათა დუღუნე, მე დავკარგე ქალწულება. შემდეგ... შემდეგ ვამგეს ხომ „არ შეეძლო“ თანამშრომელთან კავშირი ქონდა. თან მას ცხელიც აღმოაჩნდა. რიგი მდივანზე მიღვა. მან ყველაფერი იცოდა. იგი მთელ ქალაქს ვაგებინებდა ჩემს ამბავს თუ... და შემდეგ მდივანი, საქმეთა მმართველი, ბუხგალტერი და ყველა, ვისაც ლამაზი ტანის ჯიჯგნის სურვილი ქონდა. ხოლო როცა

ესკიზები

1. ქუჩა.

დღეს ჩვეულებრივ ზღვის პირას გავდივარ. მის უსაზღვრო კინტაროსის სივრცეს უერთებ ჩემს უსაზღვრო ფიქრებს.

ზღვა მხიბლავს, ბუტბუტით მიაღერებს. მრავალგვარად ამტყველებს თავისი სიმების—ზვირთებისა და ქვიშათა—აკორდებს და ჩემ ატეხილ სულის გასამხნეებლათ და ასაფორიაქებლათ იწვევს მათ.—წამით მიტაცებს, თითქოს სურდეს თავის სილიადესან შემაერთოს. გულში იკრავს ჩემს სევდავარამს და თავის უთვალავ ზვირთებს გადასცემს უძირო ძირამდის ჩასატანათ. სამაგიეროთ გმირულ სულისა ჰბერს და სიციხლისა და ბრძოლის ხალისს მიღვივებს და მიათასკეცებს.

ქუჩა. საღამოს ნისლი ჩამოწოლილა. მისგან შესუღრული ელექტროს ლამპები მკრთალად ციმციმებენ. ქუჩაში მოსიერნე ხალხი მკრთალ სილუეტებათ მოსჩანს.

ყველაზე მწვავეა ორი გამოძახილი: ქუჩის ბავშვთა მოწყალების თხოვნა და მეძავთა ჩახრინწიანებული ხმით ხითხითი. ზვიადი ხალხი თავისთვის უღარდელათ დალასლასებს, არხინათ ჩაივლის; პირველს ფეხს წაჰკრავს, მეორეთ კი გვერდით დაეჯახება: უწმანურ აღერსსა და ბილწ სიყვარულს სთავაზობს.

ქუჩა, ყოვლის მომთმენი და ყველას მესაიღუმლე ქუჩა, ყველაფერს ჩვეულებრივით ითმენს და თავის მატრიანეში იწერს.

ვერ ვითმენ. ზღვის მიერ ჩანაბერი გმირული სული მძლევს, დაიყვირებ, მაგრამ ნისლიან ქუჩას არ უყვარს გამოძახილი.

2. კინოში.

ლოჯაში ვზივართ: მე და შენ. ეკრანზე მსახიობი გამოჩნდება და ხახას დააღებს.

ჩვენ დაგვიცინის, ჩვენ დაგვიცინის, ნერვიულათ ჩაგზურჩულვებ.

ბნელა, მაგრამ მაინც ვაშჩნევ: შენ ილიმები ჩემს სიტყვებზე, მოალერსე ნაზი თვალებით გადმოხედავ, თითქოს მამშვიდებ.

ჩემი ხელი ვერ ისვენებს, რალაცას ეძებს. შენს ხელს მოხედება. სიმხურვალე ელექტროსავრთ დაივლის სხეულს. ხელს ნაზათ წაიღებ. გწყინს, მაგრამ არ გამიმხელ, ოდნავადაც არ მაგრძობინებ.

სურათის ნაწილი დამთავრდა. განათდა. თვალეში ჩაგჩინებ, შენც შემომცქერი, მაგრამ შენი თვალეები რალაც მკაცრია და თან დაფანტული. არ ვიცი რას მეუბნება ის.

ვეუქრობ.

კვლავ ბნელა. სურათს თვალს ვადვენებ. მაგრამ შინაარსის ძაფი ჩემთვის უკვე გაწყვეტილია. ისევ სათითაო ეპიზოდები თუ იპყრობენ ჩემს ყურადღებას.

კვლავ ხელით ელექტროს ტუკის ძებნას ვიწყებ... ეხლა ხელი შენს მუხლებს მოხვდა და...

სურათი ჩაგრულთა გამარჯვებით დამთავრდა. ჩვენც ზანტათ ავდექით და სხვებთან ერთათ ზღანით გამოვედით თვატრიდან.—ქუჩაში ვიგრძენი ჩემი სიხარული: შენთან სრული დაზარცხება განვიცადე, მაგრამ სურათში ხომ გამარჯვებული გამოვედი, როგორც დაჩაგრული.

3. ანკუარაპუ.

ყველა დამკაყოფილდა, როცა საჭირო იყო ჩემს ადგილზე ახალი მსხვერპლის მოყვანა. მე ცული ყოფიქცევისთვის დამითხოვეს. ხომ გესმით ცული ყოფიქცევისთვის ქუჩაში გამაგდეს. გამგემ კი აღმატება მიიღო. ეხლა ნგონი დირექტორია. სამი შემანქანე აჯეს.

— ოჯახი კი ელოდა პურს. შიმშილი არ ისვენებდა. მეგობრები და ნაცნობებიც მზად იყვნენ „დასახმარებლათ“. ამისთვის საჭირო იყო მარტო პლიაჟზე „გასეირსნება“ და ისიც საღამოთი. პლიაჟი შესცვალა ვახშამა რესტორანში და ბოლოს... ხომ იცით მაიკობი პატარა ქალაქია... ყველა ერთმანეთს იცნობს... აი თქვენ ქალაქში ვარ. სილამაზე მშველლის, „სტუმრები“ არ მივიწყებენ და ჩემი მშობლებიც ყოველთვისურათ იღებენ ფულს. ჩემი და კი იზრდება, სწავლობს. მე მათთვის აქ კარგ სამსახურში ვარ. თქვენთვის კი პროფესიით მეჭაეი. დიახ მეჭაეი... მაგრამ ეს არ დავიშლის თქვენც, აი, ცოლშვილიან გამოძინებელს, საღამოს შეზარხომებულს რომ შეგხვდეთ, თქვენც „მესტუმრებით“. პეტრუშკინას მეტს აჩუქებთ ვიდრე მე. მეორე დღეს კი მაჰანკლობაში ბრალს დასდებთ. კანონი რომ იყოს მეც დამიკრთ. ვინ უნდა მივსკეთ პასუხის-

გებაში: მე, პეტრუშკინა თუ თქვენ? თქვენ კანონიერებას იცავთ და მიპასუხეთ: ვინ?

მე თაქალუნული ვიჯექი. განა პასუხისგებაში მიცემა გადასკრის საკითხს? არა, აქ სხვა საჭირო, სულ სხვა.

— მაპატიეთ... თქვენ რაში გაინტერესებთ ჩემი აღსარება. ალბათ ყოველდღე გესმით ასეთები. მაპატიეთ. მე ვიპასუხებთ თქვენს პირდაპირ კითხვაზე: პეტრუშკინასთან სტუმრები არ დამყავს. სად? არ ვიცი, ქუჩაში. კიდევ არაფერი, მეტი სათქმელი არაფერი მაქვს.

და წავიდა. უზარმაზარი კითხვა კი დარჩა ჩემს კამერაში გამოუტნობ ქიმერასავით: როგორ გავაუქმეთ ეს პროფესია?

როგორ?

მაგრამ სანამ ჩენი ცხოვრება შესძლებდეს მის გაუქმებას მანამდე უნდა შევესოთ. ს.ს.კ. 176 მუხლი, უნდა დაისაჯოს მაჰანკლობის ერთად „სტუმარი“.

ბ. ა. — ლი.

ახალ კალეზის გაყოფენა

პროფესიონის მკაცრული.

მოლოქს

არ მაქვს სტაფი ძველი,
 არც სწავლის მაქვს ნიჭი
 არც ენა მაქვს გრძელი,
 ვარ უბრალო ბიჭი.

მეზარება შრომა
 არც მიყვარს თამაში,
 თუ რომ მომცა დრომა
 ვარგვარ მზილოდ სმაში.

ქამაც ვიცი კარგი,
 ვარგვარ მოლხენაში,
 არ მყავს ამხანავი
 შავი ღვინის სმაში.

არ ვარგვარ მე ნოქრად
 დავდგე სავაქროში,
 ფული ვიღო ოხრად
 ასეთ ქესატ დროში.

არ ვარგვარ ექიმად,
 აღარც ორატორად,
 მსურს ვიყო ვექილად
 სხვებთან ერთად, სწორად.

არ ვარგვარ კომისრად,
 არც მილიციელად,
 დამსვით თუნდ საფიცრად
 ოთხი ბატის მცველად.

არ ვარგვარ არც მცველად,
 არც მთოხნელ, ან, მკელად
 აღარც ძროხის მწველად,
 არც ტურად, ან მელად.

რაში გამოვდგები,
 ვინ მიხედება აბა,
 დილას გვიან ვდგები
 ვით თავადი საბა.

თუმც ვარ უადგილოდ,
 შოენაზეც არ ვზრუნავ
 არვინ გამაწბილოთ
 ერთ რამისთვის ვზრუნავ.

ჯერ ვერსად ვერ წავალ,
 საქმეს ჯერ ვერ შევძლებ,
 უქმად დავალ, მაგრამ
 მუცელს მაინც ვიძლებ.

პ. ოპოლი.

ო! დაკლავნილო გიგო ჩოლოქო,
 სახელს გიმშვენებს ნაზი ჩანჩქერი,
 ნუ თუ არ გახსოვს: შენი ნაპირი,
 მოძმეთა შორის იყო საზღვარი.

ქართველი იღვა სამხრეთ ნაპირზე,
 და ჩრდილოეთზე მუსულმანები.
 ძმათა შორის რომ ბრძოლა სუფევდა,
 ჩანჩქერს ჰღებავდნ სისხლის ღვარები.

მაგრამ დრო გაჰქრა შავი და მრუდე,
 ჟამი გვეღირსა მეტად ბრწყინვალე,
 და შენს ნაპირზედ ავაგეთ ხილი,
 ძმობის დროშები ავაფრიალეთ.

ქართველმა ხალხმა აქარელ ხალხსა
 ხელი-ხელს მისცეს—გული-გულს ანდვეს;
 და ძმებთა შორის ერთგულ სიყვარულს
 ვერც ტყვია დაშლის, ვერც რა დაარღვეს.

3. ტაბანულ-მახარაძე.

მუშენიერ ასულს

ვარსკვლავ სადარო შენებით, ბუნებით აწალღებულო;
 ქართველი ღედის ნაზარდო, ვარდსავით აყვავებულო.
 როს, თვალი მოგკარ, ვიხილე მყის ამერია გონება,
 ესთქვი თუ ედემის შეილია ან აჩრდილია ჩვენება.
 ასეთი თქვენი მზგავსი ჩე არსად მინახავს, სულდგმული.
 თქვენსკენ მოვილტვი ვისწრაფვი, თქვენთვისა

მიძგერს ეს გული.
 გამეცან ტურფა ასულო, გულს მოგცემ საფეხურათა,
 ცრემლებით შეგთხოვ. ნათელო ნუ დამწვავ

უცეცხლულოთა
 მიილე ჩემი ვედრება ვით ხეთისა საწირავია
 არ მიმტყუნო და მიმუხთლო ტანთ არ ჩამაცვა შავია:
 ოლონდ მითხარი რას ითხოვ რა არის შენი სურვილი,
 ცხოვრების სარკეც დაგიდგა და მით გაგიქრო

წყურული.
 გინდ სადღღოფლო ტახტს მოგცემ, დაგვამ და
 გეთაყვანები.
 ჩანვით და თარით გიმღერებ ჩიტის რძით გაიბანები.
 იქნებ მახმადის რჯულია ჩემთვის ხელისა მშლელია,
 მაშინ თქვენს რჯულსა მივიღებ დე აღრზდგეს

საწადელია
 ოლონდ ერთი კი გიხილო ვეღირსო თქვენსა აღერსსა
 შემდეგ სიკვდილი მიუღღენა ამ ჩემს გულს
 განაწამებსა.

ხანან თხალიაშვილი.

მოგა სხვა ხალხი

...და გრიალებდა შხულით ქარი,
 რტოებს ღუნავედა ოდრიკალებათ,
 ყველასთვის იყო ის შესაზარი:
 ენას ალებდა ცეცხლის ალებად.
 წელში წყდებოდა მთელი ქვეყანა
 და უმადურის აჩნდა ბეკელი.
 მაგრამ სანამდი უნდა ეტანა,
 ან რად ეხარა ქარისთვის ქელი.
 და ერთხელ უცებ შეინძრა მიწა,
 ყივილ-ხივილით აკივლა ზეცა,
 ქვეყანამ მწარედ დაიღრიალა,
 ქარი-ანგალი მიწას დაეცა.
 და არც ამდგარა ის უბედური.
 ველარ მოღუნავს ხშირ ტყეს რკალივით.
 მიწამ ოფლები ჩამოიწურა,
 ბოლი აუშეა მკერდზე ალივით.
 ამოდის ბოლი წითელ ლენტებად.
 აწითლებს პაერს, უემურ მსოფლიოს.
 თანდათან ბოლი ცეცხლად ენთება:
 ვინძლო ქვეყანაც ჩაყოლიოს.
 გავა დრო, ჟამი, ბრძოლით, წვალებით
 ქარის მაგივრად იღმერთებს ოფლი.
 მოგა სხვა ხალხი მდგარ ხელებით
 და დასტებებიან ახალი სოფლით.

პ. ნახტიაშვილი.

შეშლილი ლამე

ქარვისფერ მიწას, მიწას გათოშილს
 შავბნელი ლამე ეხვევა ნაბდათ,
 ცის კიდურები დაედგა ქუდათ,
 მოვიდა ლამე გაყინულ დარდათ.

ძაღლების ყვეა, ქალის კივილი,
 შეშლილ პოეტის სახის ლანდება,
 და ამდგარ მკვდარის სასაფლაოდან
 აჩრდილი ჩემს სულს სულ ელანდება.

ქინკები ქვევით უვლიან დაუღურს,
 შორს ორწოხებში ცრემლებს ღვრის მთვარე:
 ძაძა-შავეებში გახვია ლამემ,
 აწუხებს, სტანჯავს მას დარდი მწარე.

ქარვისფერ მიწას აზმორებს ზანტათ,
 გაუხსნა გულის საკინძი ლამეს.
 ქიმერები კი დაძრწიან ბნელში,
 ეძებენ ალბათ იქ დამნაშავეს.

ტყდება ფიქრები, თვით ხერხემალში.
 ყველგან მაშინებს შეშლილი ლამე.
 სევდამ დააშრო დარდების გუბზე,
 ლამე, ეტანჯვი, ლამე ვეწამე!

პ. შავიშვილი.

მთაზე

დღეს მთას ნისლი მოეხვია,
 მოეხვია როგორც სევდა,
 მაგრამ მედგრად ამართული
 მთის სივრცეში მიიწვედა.
 კლდის ნაპრალებს ცრემლი სცივია
 მარგალიტის მონაგვარი,
 ცა იქექებს, განრისხდება
 და ჩადგება ნიაღვარი.
 მაგრამ უცებ მზის სხივები
 მიმოფანტავს ღრუბელთ სრბოლვას
 გულგრილი და საამური
 ქარი იწყებს ნელად ქროლვას.
 მთის ნაპრალს და ნაპრალს შუა
 ნისლი ჩაწვა დადუნებით,
 მაგრამ ამას იმეორებს
 მრისხანედ და გამუდმებით:
 „ქარო, ნუ ქშენ, ნუ დაქროლავ
 „ჩემს სამყაროს—ზევით მთასო...
 „ვერ მიხვდები მე და მთების
 „საიდუმლო გულის თქმასო!

ჯემალ ნოღაიძელი.

* * *

ჩვენ ავღმართეთ დროშა,
 დროშა წითელ ფერის!
 და მუშური ხელით
 დაეამარცხეთ მტერი!

წინ მივდივართ ეხლა
 ურყველი ნებით!
 ჩვენ სიბნელეს დავსწვავთ
 თვალთა ცეცხლის გზებით.

მტერს არ გავახარებთ
 ნალევლით და ოხვრით!
 ჩვენ მათ ამაყ ქედებს-
 მოვლუნავთ და მოვხრით.

და გავსწევთ წინ მტკიცე
 ნაბიჯით და შრომით!
 ვერვინ შეგვაშინებს
 მუქარით და ომით.

ჩვენ ვით წარმართები
 კომუნიზმს ვსცემთ თაყვანს!
 იმას უგალობებთ
 და მას ურწევთ აკვანს.

შრომით ავაყვავებთ
 ჩვენ მის ღიად კერას!
 მას შევსწირავთ ჩვენს ძალს
 და ჩვენს გულის ძგერას!..

პ. გურჯა.

თეთრი ხალათი

I.

თეთრ ხალათში გაგიცანი,
როცა თავზე მევლებოდი.
მე ვკვდებოდი!...
შენ კი თურმე
ჩემის ტრფობით იწებოდი!..

რა ვიციოდი.
ჩემს საწოლთან,
ვით ფარვანა დაფრინავდი,—
გულისა და მაჯის ცემას
ყოველ წუთში მიშინჯავდი
ერთხელ მახსოვს ძილათ წასულს,
შუბლზე კრძალვით. რომ მაკოცე.
გამელვძია,
გაგიკვირდა,
შენის ქცევით გაშაოცე.

გამიღიმე.
წამწურჩულე:
„არ მოკვდები, კარგათ ხარო,
და მე... და მე... დამიჯერე:
გატაცებით
მიყვარხარო!“

გამეცინა.
გიპასუხე:
„ვის უნახავს აბა ქალო,
ავათმყოფი ასე უკვებ,
ასე უცებ შემიყვარო.“

II.

მე გავეჭვეს სიკვდილს სასტიკს,
უკვე მოვრჩი გავჯანსაღდი
და მეც თურმე
თეთრ ხალათში
შეუმჩნევლად შამიყვარდი!..

შემიყვარდი
და როს უკვე
წასასვლელად ამომწერეს,
მითხრეს:— „წაღი“
ამ სიტყვესა
გული მწარედ დამისერეს.
მაშინ, მაშინ შენს თვალებზე
შევამჩნიე ცრემლთა კწკარი—
„შშიდლობითო!“
გრძნობით მითხარ.
კოცნაც მიძღვენ სახსოვარი.

განვლო დრომ და
მე გავიგე,
შენ სხვას ცოლად
გაყოლოდი,
ალბად მე თუ დაგავიწყდი;
ალბად ჩემზე
არ ფიქრობდი.

ებლა შენზე არც მე ვფიქრობ,
არ მაქვს შენზე
ჯავრი, დარდი.
მიკვირს, ქალო,—
—თეთრ ხალათში,
ასე როგორ შემიყვარდი!..

დ. პანჯათელი.

მწვანე კონსხი

ზღვა... ტალღები... კლდე, ვით გრდემლი
მალლა ამოჩრილი.
მთა ტალღებით დანაცრემლი,
მთა თხემ-აქოჩრილი.
ამოცანა ბნელი ნისლის—
სხივით დანაფერი.
ამო ნანა—ლეღი ისლის
რხევით დანაბერი,
მთის თხემიდან გიგი რბენით
წყარო მორაკრაკე
ძირს, ქვევიდან ღინჯი ქშენით
ზღვა ზვირთ-მოარაკე.
ზღვა მზის კოცნით დანასერი,
ზვირთი შერეული...
ზედ სხივ-ტყორცნით დანაწერი
მითი შორეული...

ბ. პანიძე.

ფიქრები ლაშით

გაუნაურდა ღღეს ყველაფერი,
ფიქრები ჩემი ცამ დაიბია,
ბარათაშილის ჭენება „მერნის“
ძველმა მსოფლიომ კვლავ დაიბირა.

მიყუჩდა ღამე, ღამე სექტემბრის,
და დავედევნე ფიქრთა სამბულებს,
ჩემში გახშირდა ყნოსვა მეძებრის,
დავეძებ ყველგან ლურჯ სომნაბულებს.

მსოფლიოს მოხრილს, კიდევ დაეღარ
შევდგები ფიქრზე, როგორც მინაზე
კოცნას ვაჩუქებ უკვდავ დარიალს
და შევეურთებ ნწვავე სინაზეს.

სექტემბრის ღამემ ცუდათ დამტუქსა,
სიზმარში მოსჩანს კატაფალკები
და ჩემ ცხოვრებას ხაზი გაღუსვა
შავმა ფიქრებმა გადანარევის.

ვიცი გაჩნდება ხრიზანტემები,
როგორც კალიას და ფუტკრის ჯოგი,
რალაც უცნაურ მიზანსცენებით
ღამეში შავი ლანდები მორბის.

დაყუჩდა სული, როგორც ამბორი,
სული დაწეწა სისხლის ზმანებამ,
ვატყობ, სხეული ამდენი გლოვით
სასაფლაოზე დიმილალება.

ბ. პანჯათელი.

ხელეწიფის უვილი.

ზღაპარი.

(გაგონალი ჭასან კომახიისგან ხელის მასწავლებლის მიერ.)

იყო და არა იყო რა. ლეთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მდიდარი კაცი, ალა. ეს კაცი მოკვდა და დარჩა ორი შვილი: ქალი და ვაჟი. შვილებმა შესქამეს მამის ქონება. დარჩა სასახლი და ცოტათოდნი ქონებაც; თვალმარავალიტი და სხვა ძვირფასეულობა. ვაჟი ადგა და წავიდა სხვა სახელმწიფოში და სახსოვრად დაუტოვა ბეჭეტი, რომელიც ისეთივე იყო, როგორც თვითონ წაიღო, მივიდა ერთ სახელმწიფოში და დაიწყო ცხოვრება. ააშენა პატარა დუქანი და შეუდგა ვაჭრობას. კაცმა სთქვა: მოდი ერთი ფასდაკლებით ვივაჭრებ, მუშტარიც მეტი მეყოლებაო და ხალხსაც მოვიმადლიერებო. დაიწყო ვაჭრობა. აუარებელი ხალხი დავისა, სულ ტყეა აღარ იყო. ამ კაცმა ხალხი მოიმადლიერა და ფულიც ბევრი მოიგო. შეიძინა ქონება. თანდათან გააფართოვა თავის საკუთრება და ნახევარი ქალაქი ხელში ჩაიგდო. სხვა ვაჭრებს ეს, რაღა თქმა უნდა, არ ესთამოვნათ. შექნეს ჩოქილი, როგორ, ჩვენ ბაჟს ვინდით და ამ კაცმა ვაჭრობა მოგვისთავო. წავიდენ და ხელმწიფესთან უჩივლეს. ის ისეთი კაცია, რომ თუ დროზე არ მოგვაცილებს ჩვენ მოგვსაოს და ბაჟს ვეღარ ვაღივლითო. შეწუხდა ხელმწიფე, თან დაინტერესდა—ვიინ უნდა იყოსო. ადგა და გამოავაზინა თავისი ვაჟი—წადი, გამოიგვი ვინ არის და რა საქმეს ჩადისო. ვაჭარი თორმეტ საათამდე ვაჭრობდა. საღამოთი ისვენებდა და ღრმად ატარებდა. მინამ ხელმწიფის ვაჟი მოვიდოდა, მან კიდევ შეიძინა ქონება. ღარიბებს ლუქა—პურს აძლევდა. ერთხელ მორჩა ვაჭრობას, მივიდა სასახლეში და ჩამოედინა. სწორედ ამ დროს შევიდა ხელმწიფის შვილიც. მაგრამ რა დაინახა. ისეთი ღამაში იყო ვაჭარი, მშვენიერი, ჰაეროვანი, მოსული, რომ ავს თვალს არ დაენახებოდა. ხელმწიფის შვილს ისე მოეწონა, რომ დაჯდა და, მინამ გამოიღვიძებდა ვაჭარი სულ, იმას უტყუროდა. გაუიდა ორი საათი და ვაჭარმა გამოიღვიძა. ხელმწიფის შვილმა გაიცილა და ძალიან მოუწონა. ვაჭარმა სადილობა დააბრუნა და დიდი პატივი სცა. მშვენიერი სუფრა გაუმალა და კარგი დრო გაატარებია. მეოც მოუყვა თავის ამბავს. ხალხს ვაჭრობა ვიგო, რომ ვაჭარს ყველა ფაილიერებოდა, ყველას უყვარდა და პატივსცემდა. თორმე ვაჭარი სხვა რომ 50 კ. ჰყიდა საქონელს, ის ორმუხარად აძლევდა. ხალხი ამას ძალიან აფასებდა. ხელმწიფის შვილს შეეხვეწა: ამ დროს მეწვიე ხოლმე სადილობო. ხელმწიფის შვილს ვაჭარი ძალიან მოეწონა, დაუშვებოდა და შეპირდა, ყოველთვის მოვალე. მივიდა და მამას უთხრა: ის ისეთი კაცი ყოფილა რომ ქვეყანა მისი მადლიერიაო. და ისეთი ღამაშია, რომ მისი მსგავსი ქვეყანაზე არაფერ იქნებო. მეორე დღეს ხელმწიფის შვილი კიდევ ეწვია იმ დროს, როგორც დაპირდა. მესამე დღესაც ასე მოიქცა. ერთხელ ხელმწიფის შვილს დაავიანდა. ვაჭარმა უცადა, უცადა და რომ აღარ მოვიდა, ამოიღო თავის დას სურათი, დაიჭირა ხელში და მზერა დაუწყო, ოთხი წელი და არ ენახა და ძალიან მოენატრა. მოაგონდა წარსული ცხოვრება: დედა, და, მამა, მათი სახლკარი და ამ ტყბილ მოგონებაში ტყბილად ჩაეძინა. სურათი ხელში მერჩა. სწორედ ამ დროს შემოვიდა ხელმწიფის შვილი. შეხედა ვაჭარს—ხელში ქალის სურათი უჭირავს, ხელმწიფის შვილს ეს ქალი ძალიან მოეწონა. იფიქრა ეს ნამდვილად ამ ვაჭარის ცოლია, ამას მოვაკვლევინებ და ქალი შე დამჩრებო. მაგრამ ვადიფიქრა. ამისთანა კარგი მეგობარია—როგორ მოკვლო. უკეთესია აქ მოვაყვანიებ, როგორ ჩემი მშის ცოლსო. ამანობაში ვაჭარსაც გამოეღვიძა. ხელმწიფის შვილმა უთხრა: ვლახად ხომ არ ხარ, ასე, უღონოდ ჩავმინებიაო. ვაჭარმა მიუგო: ავად კი არა, ჩემი ძველი ცხოვრება მომავონდა და საწყალი ჩემი და განახსენდაო. აი ეს სურათი სწორედ იმისია, საშახსოვრად

წამოვიღეო. ხელმწიფის შვილმა სურათი კიდევ დაათვალიერა და კინაღამ გაგიჟდა, ისე მოეწონა ქალი. ისეთი ღამაში იყო ის ქალი, რომ იმის მსგავსი არაფერ მოიძებნებოდა. მერე ჰკითხა ვაჭარს: გათხოვილი ხომ არ არისო. ვაჭარმა უთხრა არაო. ხელმწიფის შვილმა ცოლად სთხოვა. ისე ვაცხოვრებ, როგორც შეშვების დედოფალსო. თან კიდევ, აუარებელი სიმდიდრეს დაპირდა. ვაჭარი დავთანხმა. ხელი ხელს დაჭკრეს და გააწვიტეს ჯვარი დაეწვიათ. ხელმწიფის შვილი გაიტყა დასახლეში, დედ-მამას უთხრა თუ ის ქალი არ შევირთო, სხვა ქალს არ შევირთავო. თუ ჩემი ბედნიერება გინდათ, ის ქალი მომგვარედ ცოლად. მოზობლესაც გაეხარდათ. გადაწყვიტეს სამ დღეში მოეყვანათ ის ქალი და ქორწილი გადაეხადათ. ვაჟი ფეხზე აღარ იყო სისხარულით, გამოაწყვეს ხომალდები, დატვირთეს მდიდრულად და გააგზავნეს იმ ქალის მოსაყვანად. ეს რომ იმ ქალაქის ვაჭრებმა გაიგეს, ძალიან შეწუხდნენ. აქამდე ვესპობდა ეს კაცი და თუ ახლა კიდევ მეფეს დაუნათესავდა სულ აცეკლებსო. იფიქრეს, იფიქრეს და ვერაფერი მოიფიქრეს. ბოლოს გადასწყვიტეს იმ ქალაქის ბოქალთან მოსულიყვენ და დახმარება ეთხოვათ. მივიდენ და მოახსენეს: დაეიღუპეთ ჩვენ რომ საქმე მოგვივიდაო. ჰქნენ სკივტი, დაგვებნარე და თუ გინდა ჩვენი ქონების ნახევარს შენ მოგართმევითო. ვარიდენ, უნდა მიეცათ ასი ათასი ლირა. ბოქალმა უთხრა:—მე მოგახვებო მაგ საქმის ჩაშლასო. თქვენ დარდი ნუ გექნებთათო. გამოვიდა და დაიწყო ტირილი. ყველას გაუკვირდა: რა ატივებსო. ასე ტირილით მივიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფესაც გაუკვირდა. ნეტა რა მოსვლიათო. ხელმწიფემ ჰკითხა ეგ რა დაგმართინია, რომ აგრე ცხარე ცრემლით სტირითო. ბოქალს კი გაიმახროდა, მომკალით, მომკალით და მაგას ნუ მკითხავთო. მაგ რომ გითხრათ ხომ მაინც ჩამომახრობთ და ახლავე—მომკლათ ის მიჩრჩენიაო. გააბა ტირილი და მოსთქვამდა: რა უბედური კაცი ყოფილვარ, რაეა უდროოდ დაეიღუპეო. მეფე ვერ მიხვდა საქმე რაში იყო და კიდევ ჰკითხა: სთქვი კაცო რა დაგმართათო. ბოქალმა მიუგო: რაღა რა დამემართა, შენ შეიღს რომ ქალი დაუჩინეწავს, ოთხი წელია, ის ჩემი საყვარელია და ქალი მთქმელი, მომკალით ის მიჩრჩენიაო. მეფემ უთხრა, მაგისთვის კი არ მოკვალე, მადლობელიც ვარ, რომ დროზე მიხმარო. მაშინვე განკარგულემა გასცა, დაიჭირეთ ის ვაჭარი და აქ მომგვარეთო. ვაჭარი დახიჭრეს, მეჭკრეს და მეფეს მოგვარეს. მეფე გაუწყრა, როგორ შენ ჩემი შვილი შეცდომაში შეიყვანე და დამიტყუეო. ხელმწიფემ ბრძანა ხელს უნდა იქნეს დახვრეტილიო. ვაჭარმა უთხრა: მე რაღა მეტქმის, დასახვრეტი ვარ სწორედ, მაგრამ ერთი თხოვნა ამისრულე სიცილილის წინაო. მე რომ ხელზე ბეჭედი მაქვს, იმისთანა ბეჭედი აქვს ჩემს დასაც. თუ ეგ მართალია, რომ ჩემი და ბოქალის საყვარელია, წავიდეს და მოიტანოს, მაშინ დაეწმუნდები, რომ ჩემი და, მაგის საყვარელი ყოფილაო. მეფემ თხოვნა შეიწყნარა. კარგი, წავიდეს და მოიტანოსო. ვაჭარი საპრობილეში გაგზავნეს. დაიბარეს ბოქალის და უთხრეს. იმ ქალს ამისთანა ბეჭედი ჰქონია, თუ მართლა შენი საყვარელია, წადი, გამოართვი და მოიტანეო. მაგას კი არა თუ გინდათ იმასაც აქ მოვიყვანო ოღონდ თქვენ მიმძანეთო. ხელმწიფემ უთხრა: ის კი არა და ბეჭედი მოიტანე, ის საჭირო არ არისო. ბოქალმა გააციანა: ბეჭედს კი არა თვითონაც უკან გამეკიდებო. წავიდა ბოქალის იარა, იარა და მივიდა იმ სახელმწიფოში. გულში ჰფიქრობდა. მოვიყიდი ვინმეს და იმასაც თან წამოვიყვანო. მაგრამ იმ ქალის სასახლეს დიდი ზღუდე ჰქონდა შემოკლებული. ბოქალის ვერასგნით შიგ ვერ შევიდა. ვერც ის ქალი ნახა და ვერც მისი მოსამსახურე ბევრი იწყალა და ბოლოს, როგორც იქნა ნახა მისი მრ-

სამხალურე. ასე უთხრა: შენ რას იღებ ჯამაგირსო. მოსამხალურემ უთხრა—თხუთხმეტ მანეთსაო. თხუთხმეტ ათას მანეთს მოგცემ, მოლაღ სიმდიდრით ავაესებ, ოღონდ შენ ქალბატონს, რომ ბეჭედი აქვს ის მიშოვეო. მოსამხალურემ უთხრა: ის ბეჭედი ქალბატონს მისიგან აქვს სამახსოვროდ ხელზე წამოცმული და არაის არ ანებებსო. ბოქაული კიდევ დაჰპირდა ბევრ სიმდიდრეს, ფულსა და თვალმარგალიტს და მოსამხალურე შეაციდნა. მოსამხალურემ უთხრა: ამაღამ ქალბატონი ტანს იბანს აბაზანაში, რომ გაიძრობს ბეჭედს; წყალში ჩავაგდებ და წყალს გამოჰყვება—აიღე და წაიღეო. ბოქაული აბაზანის ქვეშ დააყენა. მართლაც ესე მოიქცა. ბეჭედი წყალს გამოჰყვალა, ბოქაულმა დასტაცა ხელი და გზას გაუდგა. მიაბრთვა ხელმწიფეს და მოახსენა, შეადარე ვაჭრის ბეჭედს და თუ იმისთანა არ იყოს, თავი მომკვეთო. ხელმწიფემ შეადარა და ის აღმოჩნდა. მოიყვანეს ვაჭარი. აჩვენეს ბეჭედი და რაღას იტყოდა. სწორედ იმის დის ბეჭედი იყო. შეწუხდა ვაჭარი. რაღა მეთქმის, ის ბეჭედი და მომკალითო. მერე უთხრა, თუ ამისრულდებოდა ერთი სათხოვარი კიდევ მაქვსო. ნება მომეცით სიკვდილის წინ ერთხელ ჩემი და ვნახოო. მეფემ იწყინა, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა. გამოატანეს ქორავანი და გამოუშვეს. ვაჭარმა რომ თავის და დაინახა, შეწუხდა, გამოიქცა და მოეხვია. მამ ერთი სილა გააწნა და გამობრუნდა. დას გაუკვირდა. არ იცოდა საქმე რაში იყო. მხოლოდ გაიგო, რომ მის მას სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი. საჩქაროდ მოემხადა, ფუთაში ერთი უძვირფასესი ტანი-სამოსი გამოიკრა. წამოიღო ბევრი ფული, თვალმარგალიტი და გამოედევნა მძის ქორავანს. საჩქაროდ გამოაწყობინა ხომალდი და ერთი საათით გვიან მოვიდა იმ სახელმწიფოში. სადაც მისი მამ სცხოვრობდა. გავიდა ქალაქში, მაგრამ არ იცოდა სად წასულიყო. ქალაქში ის არაის იცნობდა და არც გზა იცოდა. მივიდა ერთ მალაზონთან (მონხუცი დედაკაცი), შევიდა მის ქოხში და სახოვად ღამე გამათევინეო. მოლაზონმა მიუგო: „შვილო მე არაფერი გამაჩნია. საქმელს ვერ ვიშოვი და ქვეშააგებს. თუ შეგიძლია ასე უბრალოდ ღამის გათევა—მობრძანდითო“. ქალმა უთხრა: „მე მტერი არაფერი მინდა, ოღონდ თავი მივდი რამეზეო“. დარჩა იმ მოლაზონთან. ნახა რომ ის მოლაზონი სულ სტირის და მოსთქვამს. ქალმა ჰკითხა: რა გატირებდნო მოლაზონი მოუყვა, რომ ამ ქალაქში ერთი კარგი ვაჭარი იყო. დიდი შეძლების პატრონი, ქვრივ ოხრების გამკითხავი, ღარიბების პატრონი, ყველას ეხმარებოდა და მთელ ქვეყანას უყვარდა. იმის დის თხოვა უნდოდა ხელმწიფის შვილს, მაგრამ მისი და ჩვენი ბოქაულის საყვარელი გამოდგა და ხელ უნდა დახვრიტონ, რაზე დაატყუე ხელმწიფის შვილიო. ქალი ახლა მიხვდა საქმე რაში იყო. ძალიან შეწუხდა, მაგრამ არა უთხრა რა მოლაზონს. მხოლოდ შეეხვეწა ის კაცი—ბოქაული მაჩვენე ვინ არისო. აიუქა მოლაზონს 2.000 ლირა, ჩასვა ეტლში და წაიყვანა. იმ ქალაქში იმ დროს წარმოადგენა იყო მოედანზე. ბოქაულიც იქ ყოფილიყო. მოლაზონმა უჩვენა ვინც იყო ბოქაული. ქალმა მოლაზონს მადლობა გადაუხადა, ფული მისცა და გამოუშვა. მერე მოაყვანია ფოტოგრაფი და ჩუმად იმ ბოქაულის სურათი გადააღებინა. ჩაიღვა ჯიბეში და წამოვიდა. მეორე დღეს დილით ჩაიკცა ძვირფასი ტანისამოსი, სულ მარგალიტებით, ბრილიანტებით და ძვირფასი თვლებით მორთული. ჩაჯდა ეტლში და ხელმწიფის სასახლეში მივიდა. ხელმწიფემ დიდის ამბით მიიღო. გაუკვირდა ვინ უნდა იყოს ასე ღამაზი და ძვირფასად ჩაცმული. ხელაწიფემ მიიპატივა და დიდი პატივი სცა. მერე მორიდებით ჰკითხა: ვინ ბრძანდებით და აქ საიდან მოხვედითო. ქალმა მოახსენა: მე დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელი ვარ. დავდივარ სახელმწიფოებში და ვათვლიერებ უწყისობა ხომ არაფერი ხდებაო. ახლა შენს სახელმწიფოში მოველით, მაგრამ რომ არ მოვსულიყავი ის მერჩიაო. სახელმწიფო კი არა საყაჩაღო ეყოფილა, აქ კაცს არ ვაველემაო. ხელმწიფეს შეეშინდა: ეს რა უბედურებააო სთქვა თავისთვის. ნეტა



ცნობილი ოპერის მხახიობი. მისი მე-13 იუბილეს გამო.

რა შეაჩნია ისეთი, რომ ასე აძაგებდნო. მოიკრიბა ძალღონე და ჰკითხა: ხომ არაფერი გაწყენიესო. ქალმა უთხრა: მაწყენის კი არა, ძალა უნდოდათ ეხმარათ ჩემზე და ნამუსი აეხადათო. წუხელი დამეცა თქვენი ბოქაული და უნდოდა ჩემი გაუბატონებოდაო. მეფე გაკვირდა. თქვენ ჩვენ ბოქაულს საიდან იცნობთო. ქალმა ამოიღო სურათი და აჩვენა. აი სწორედ ეს კაცი იყო ჩემი ნამუსის ახლა რომ უნდოდაო. მეფე გაშწარდა. გაბრაზდა და სულ ცოტეს ჰყრიდა. იმ წამსვე მოაყვანინა ბოქაული და უთხრა ამ ქალს რას ეჩივდი, რომ გაუბატონებოდა მოუნდოვეო. მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა სხვისი შეურაცყოფა. ძალღივით ჩამოგახრჩობ სარხეო. ბოქაული ატირდა, თავს მიწაზე ახლიდა და იფიცებოდა, ეს ქალი ჩემს სიცოცხლეში არ დამინახავს, არამც თუ გაუბატონებებსა გაუბედვადელიო. იქნება შეეშალა, თორემ მე დავიფიცებ, რომ ეს ქალი ჩემს სიცოცხლეში არ დამინახავსო. და მოჰყვა ფიცსა და სამსალათს, რომ მაგის მსგავსი კი არა ვინ შემხვედრია ჩემს სიცოცხლეშიო. ქალი მიუბრუნდა ხელმწიფეს და მოახსენა! ხომ გესმისთ მეფეო, ეს კაცი იჩემებდა, რომ ოთხი წელია ჩემი საყვარელი იყო და ახლა რას იფიცავსო. ასე ტყუილით უნდოდა მაგას ჩემი ძმის დაღუპვა. თორემ მე მაგ და მაგას მე არასოდეს ერთმანეთი არ დაგვიჩინავს და მაგის საყვარელი როგორ და როდის ვიქნებოდითო. მე გახალავართ აქაური ვაჭრის და, რომელსაც თქვენ დღეს ხვრეტთ ამ ბოქაულის წყალობით, თქვენი ვაჭის საცოლე და ჩემი მამ ამ საქმეში სულ ალალიაო. ხელმწიფეს გაეხარა. მოეწონა ქალის ოსტატობა, მაშინვე ბოძანა ვაჭრის განთავისუფლება და სწორედ იმ დროს, როცა ვაჭარი უნდა დაეხვრიტათ ის ბოქაული ჩამოახვრჩეს, ხოლო ხელმწიფის შვილმა ამ ქალზე იქორწინა და დიდებული ღვინა გადიხადა. ბევრი იმხიარულეს და ბედნიერად სცხებოზობდენ. „ისინი იქნებ ვირში, ჩვენ აქანა ღვინაში“.

წერილები სასკოლო საკითხებზე

1. მხარეთმცოდნეობა სკოლაში *).

მასწავლებლობას კი საუკეთესო შემთხვევა აქვს ამის განსახორციელებლად, უკეთეს იგი მოინდომებს მუშაობას.

ფუნქციონირებს თავისი ეკონომიური სტრუქტურა აქვს. თავისებური ეკონომიური ინტერესები.

გათვალისწინება ამ სტრუქტურისა და ინტერესებისა; — განმარტება სოფლის ეკონომიკის და გლეხის იდეოლოგიის შორის კავშირისა მის პოლიტიკურ მხედველობასთან ერთად — აი ამოცანა მიმდინარე მომენტისა.

ეს საზოგადოებრივ-მეცნიერული ამოცანა განუწყურვალ დაკავშირებულია ჩვენს პრაქტიკულ ამოცანასთან, — ავაყვავოთ ფუნქციონირება და გადავახალისოთ მისი ყოფა-ცხოვრება თანამედროვე კულტურის ყაიდზე.

ჩვენი მიდგომა სოფლისადმი უნდა იყოს წმინდა რეალისტური.

ჩვენ უნდა ვიცნობდეთ სოფელს არა მარტო, როგორც განსაზღვრულ ეკონომიურ კათეგორიას, არამედ როგორც გარკვეულ ორგანიზმსაც, რომელიც ჩამოყალიბებულია განსაზღვრულ პირობებში.

ჩვენ გვინდა ვიცოდეთ როგორ ცხოვრობს სოფელი; უნდა ვიცოდეთ მისი მეურნეობის რომელი მხარე არის მკიდრად დაკავშირებული ამ კუთხის კლიმატურ, გეოგრაფიულ, ჰოროგრაფიულ, ჰიდროგრაფიულ, ისტორიულ და სხ. პირობებთან.

რალა თქმა უნდა, ჩვენ ისიც გვინტერესებს, თუ როგორი ცვლილებები ხდება მეურნეობაში ამ უკანასკნელ ხანებში.

ცხადია სოფლის შესწავლა ატარებს არა მარტო მორიგ სამეცნიერო ამოცანის ხასიათს, არამედ იგი წარმოადგენს პოლიტიკურ საჭიროებასაც.

ამ შესწავლაში სკოლამ უნდა დაასრულოს მნიშვნელოვანი როლი.

შესწავლა სოფლისა შეიძლება ეთნოგრაფიული, სტატისტიკურ-ეკონომიური, ისტორიული მხრივ და სხ. ყველა ამ დარგში მასწავლებელ — მხარეთმცოდნეს შეუძლია მიიღოს ცხოველი მონაწილეობა.

სოფლის ეთნოგრაფიულ გამოკვლევის დარგში მასწავლებელი პირდაპირ ტოლუპოვარია. ეთნოგრაფიულ მასალების შესაკრებად ჩვეულებრივად აწყობენ ექსპედიციებს; მაგრამ ექსპედიციების მიერ შეკრებილი მასალა ზრც საჭიროების არის, და ამის გარდა, ატარებს შემთხვევითს, უცაბედ ხასიათს. სოფლის მასწავლებელი კი უფრო ახლოა სოფელთან და, მასასადამე, — ცოცხალი ეთნოგრაფია. ეთნოგრაფიის მოყვარე შეიძლება იყოს ყოველი მასწავლებელი, და თუ იგი შესძლებს დაინტერესოს ამ მხრივ ბავშვები, მას შეუძლია ისეთი მასიური გამოკვლევების მოხდენა, რომელიც პირდაპირ მიუწვდომელია ცალკეული მუშაკისათვის.

სტატისტიკის დარგში მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს ისეთი მუშაობა, რომელიც დიდათ ხელს შეუწყობს ოფიციალურ სტატისტიკის წარმტებით მსვლელობას, რადგან ეს უკანასკნელი სწორად მოკლებულია სისწორეს. რომ გვექონდეს ადგილობრივ პირთაგან მოხდენილი მთელი რიგი სოფლის სტატისტიკურ გამოკვლევებისა, შედარების საშუალებით ფართე შესაძლებლობა გვექნებოდა სწორი კოეფიციენტი მიგველო ოფიციალურ სტატისტიკის დასკვნებიდან. ამას გარდა სტატისტიკისათვის პირდაპირ მიუწვდომელია ისეთი მუშაობა როგორცა ფუნქციონირება რეალურ ბიუჯეტის გამოკვევა. აქ მოგვეშველებოდა მასწავლებელი, როგორც ზედამხედველი და ორგანიზატორი მოწაფეთა სათანადო მუშაობისა.

ისტორიის დარგში მასწავლებელს ბევრის გაკეთება შეუძლია მასალის აღრიცხვის სახით. ამას გარდა იგი ხელს შეუწყობს ცალკეულ სოფლის ისტორიულ მონოგრაფიის შედგენას. ეს მონოგრაფიები კი საჭიროა, როგორც სანდო საყრდნობი ისტორიული მიმოხილვისა. ეს მონოგრაფიები უნდა ატარებდნ ისტორიულ-საყოფაცხოვრებო ხასიათს. სოფლის ისტორია უნდა იყოს კულტურის ისტორია, ე. ი. სოფლის ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობისა ადგილობრივ ბუნებრივ თავისებურობასთან დაკავშირებული. მან უნდა მიიღოს მხარეთმცოდნეობის ხასიათი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიგვეყვანს იგი ახალ და ძვირფას დასკვნებამდე ეკონომიკისა და სოციოლოგიის დარგში.

უეჭველია მკიდრო თანამშრომლობა სკოლისა და მეცნიერების შორის თანაბრად სასარგებლოა ორივესათვის. სკოლა ამით თავისუფლდება სკოლა-სტიურ კარჩაკეტილობისაგან და მასალა ცხოველდება გამოკვლევითი მუშაობით. ასე ესთქვათ სკოლა მთლად „შესტაპავს, ცხოვრებაში“. მეცნიერება კი ჰპოებს მეტ პრაქტიკულ მუშაკთ, გამოდის კაბინეტურ საღტეებიდან და უკავშირდება ცხოვრებას.

და ჩვენი სოფლის მასწავლებელი მხარეთმცოდნეული გახდება უბაღლო თანამშემწე ისტორიკოსისა და ეთნოგრაფისა.

თავის პატარა თანამშემწეთა დახმარებით მასწავლებელი რამოდენიმე წლის განმავლობაში შეპკრებს დეტალურ ცნობებს გლეხის მეურნეობაზე, მოსავალზე, ნახირის რაოდენობაზე, გლეხის ბიუჯეტზე, მის კირ-ვარაზე. ეს ცნობები იქნება უფრო სწორი, რადგან იგი შეისწავლება ანგარიშის გაკეთილზე — ჩაწერით, დახაზვით, დიაგრამებით და სხ. სიყალბის ჩადენა მვინი არავის მოუვა აზრად.

აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანია ძველი და ახალი სასიღერო ლექსების ჩაწერა. ეს კი დიდად შეუწყობს ხელს ხალხის შინაგან კულტურულ ისტორიის გაშუქებას. აგრეთვე მისაწვდომია მასწავლებლისათვის სხვა მხარეებიც. მაგ. თანამედროვე დაწესებულებათაგან ჩატარებული მუშაობა სოფელში: კომკავში-

*) გაგრძელება. იხილეთ „აქარისტანი“ № 2.

რის, გლექკომების, საურთიერთო დამხმარე კოოპერატიულ ამხანაგობების, პიონერთა ორგანიზაციის და სხ.

თქმა არ უნდა, ეს მუშაობა უნდა გაიზიარონ სხვა კულტურულმა პირებმა და დაწესებულებებმაც. მაგ. კომკავშირმა უნდა აქტიური, ცხოველი მონაწილეობა მიიღოს მასში. უნდა შეიქმნას ადგილობრივი მხარეთმცოდნეობითი წრეები. ამ წრეების მოწყობაში მასწავლებლობამ უნდა მიიღოს ცხოველი და მხურვალე მონაწილეობა. ამასთანავე თვითელმა პედაგოგმა არ უნდა გადასლოს ამ საქმის მოგვარება და თვითშაღდება.

ზოგ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია დაკმაყოფილდეს ადგილობრივ ცნობების უბრალო შეკრებით, როგორც კორესპონდენტს ცენტრალურ სამეცნიერო წრისა.

მინც და მინც ღრმა კვლევითი და დასკვნითი მუშაობა არც ნორჩ მასწავლებელს მკვლევარს, არც კომკავშირელს არ მოეთხოვება.

წმინდა ეთნოგრაფიულ, ან ღრმა ისტორიულ გამოკვლევებისათვის საფუძვლიანი მომზადება არის საჭირო.

მხოლოდ მეცნიერ ეთნოგრაფს შეუძლია გადასკრას საკითხი მეცნიერულად. მაგ. დასახლების მიმდინარეობა, მცხოვრებთა ურთიერთ გავლენა, თანამედროვე კულტურის დამოკიდებულება წინა ისტორიულთან და სხ. ჩვენი მხარეთმცოდნეობის ახალგაზრდობა შეჰკრებს მხოლოდ მასალას. მაგ. აღწერს ტანსაცმელს, გადიღებს საცხოვრებელ ბინების გემას, უყუთუ შესიღებლობა აქვს გადიღებს მოსახლეობის ტიპიურ წარმომადგენელთა სურათს, ან აღწერს მათ, ჩიწერს ადგილობრივ ენაკავებს, შეადგენს სასაუბრო ენის ლექსიკონს, (ამ მხრივ აქარიშტანი ერთობ საინტერესოა; აქ ერთი მხრივ დაკულია უმეღელსი ქართული კილო და ლექსიკონი და, მეორეს მხრივ, ამჩნევია თურქული გავლენა). შეჰკრებს ანდაზებს, შელოცვებს, გამოცანებს, არაკებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, ფქმულებასა და სიმღერებს... მუშაობის გასაადვილებლად და მასალის სისტემატიზაციისათვის სასურველია ვისარგებლოთ გეოგრაფიული პრინციპით. შემჩნეულია, რომ ზემო აქარელი განირჩევა არამც თუ ქობულეთელისაგან არამედ თვით ქვემო აქარლისაგანაც. ცხადია გეოგრაფიულ პრინციპს თავისებური მნიშვნელობა ეძლევა.

შეკრებილი მასალა მით უფრო ძვირფასი იქნება, რაც მოკლებული იქნება დასკვნებს, რადგან ამას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მეცნიერი.

ამგვარად ეთნოგრაფიის დარგში საჭიროა მხოლოდ შეკრება მასალისა.

ესევე უნდა ვსთქვათ ისტორიაზეც. გამოუცდილი მასწავლებელი უნდა ერიდოს სოფლის ისტორიის დაწერას უხსოვარ დროიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ მან უნდა შეკრიბოს ყოველგვარი ისტორიული მასალები, მისთვის მისაწვდომი, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს მეცნიერულ ისტორიულ დასკვნებიდან.

ამაზე არ უნდა დახარჯოს შრომა. ეს ძნელია არა სპეციალისტისათვის. ამას თავის დრო მოუვა.

მა რაღა შეუძლია შეისწავლოს მკვლევარმა მასწავლებელმა? ყველაფერი შეჰკრიბე, დაწერილებით შეჰკრიბე, ჩაწერე და შენი საკუთარი მსჯელობა არ იქონიო, — რა თქმა უნდა, მოსაწყენი საქმეა.

ეს რასაკვირველია მართალია. მაგრამ მის მეცნიერულ-კვლევით ცნობისმოყვარეობას ის საკითხი დააკმაყოფილებს, რომელსაც იგი კარგად იცნობს ცხოვრებითაცა და განათლებითაც. ასეთია სოფლის სამეურნეო და სოციალური ისტორია გასაბჭოებამდე და შემდეგ. ხოლო რაც შეეხება უახლოვდელს ისტორიას, მიწის საკითხს, და სხ. მასწავლებელი მათ იცნობს და ცხადია საფუძვლიან გამოკვლევასაც მოახერხებს. მსგავსი გამოკვლევანი კი ძვირფასი იქნება მეცნიერებისათვის.

ამგვარად ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ სოფლის გამოკვლევა მკაცრი მეცნიერული (ეთნოგრაფიული, ისტორიული, არქეოლოგიური და სხ.) კი არ უნდა იყოს, არამედ მხარეთმცოდნეობითი (ანტროპოგეოგრაფიული). უმეტესად კი მისი მიზანი უნდა იყოს უახლოვს მეურნეობისა და სოციალური ისტორიის შესწავლა.

ამასთანავე საჭიროა გამოსაკვლევ რაიონის გამოიჯნა. მუშაობის ნაყოფიერებისათვის ამას თავისებური მნიშვნელობა აქვს. უყუთესია ავიღოთ ერთი ან ორი სოფელი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში სოფლის შესწავლა გადახლართულია მთელ თემთან, განსაკუთრებით იქ. სადაც საკითხი ეხება საერთო-სათემო ინტერესებს. მიუხედავად ამისა მინც საჭიროა და უმჯობესია რაიონის ერთი სოფლით განსაზღვრა, რადგან პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ერთ წელში ერთი სოფლის საფუძვლიანი გამოკვლევა საძნელია. მაშასადამე რამდენიმე სოფლის, ან მთელი მაზრის ერთბაშად აღება მიზანშეუწონელია. ეს გამოიწვევს საქმისადმი ზერელე ანუ, როგორც იტყვიან, დელეტანტურ დამოკიდებულებას.

ამგვარად სოფელი უნდა გახდეს ცენტრი სოფლის გამოკვლევა-შესწავლისათვის, თემი და მაზრა — სათემო და სამაზრო გამოკვლევებისათვის და ამგვარად.

რა და როგორ უნდა შეისწავლოს მასწავლებელმა სოფელში.

(გაგრძელება იქნება).

ბა. გორგაძე.



ახალი ლიტერატურა

ორი დეკლარაცია.

ერთი დაიბეჭდა გახეთ „კომუნისტში“ — რამ — რევოლუციონური ახალი მწერლობა.

მეორე — ქუთაისის ახალი მწერლების კოლექტივის ორგანოში „უშბა“ № 2.

ამ ორ დეკლარაციების შესახებ ჩვენი ჟურნალი ცალკე წერილს მოათავსებს. ესლა კი აღენიშნავთ მოკლეთ.

რამ — გამოეყო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას. მათი ლიტერატურული პროგრამა საღი და მისაღებია. რასაკვირველია პროგრამა კიდევ არაფერს არ ნიშნავს. პოეტისაგან ჩვენ ვითხოვთ არა მარტო პროგრამას, არამედ შემოქმედებას, რომელიც გამართლებს ამ პროგრამას.

„რამ“-ის დეკლარაციაში მიუღებელია მუხლები 31, 33 და 34. ის რაც ამ მუხლებშია აღნიშნული უნდა სთქვას კრიტიკამ, მკითხველმა საზოგადოებამ და არა თვით კორპორაციამ. თავის ქება კიტრათა და ბაქაობა ალბათ კიდევ უფრო ნაკლები ელირება. თუ ამ ბაქაობას არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ რამ-ის დეკლარაცია სრულიად მისაღებია. ვუსურვებთ რამ-ის კორპორანტებს სიტყვა საქმეთ ექციით.

„უშბას“ დეკლარაცია სხვა სახისაა. ძველი ფრაზები, ძველი ყანწვლებისა და ფუტურისტების მიერ გადაჭმული გამოთქმები: „ჩვენ პოეზიის ვიფები ვართ“.

ნგრევს, გეომბანას დრო წაიდა არა მარტო პრაქტიკულ ცხოვრებაში, არამედ ლიტერატურაშიც (რომელიც ცხოვრებას ჩამორჩა). ესლა შენების დროა. აი, აქ გამოიჩინეთ თქვენი ვაჟკაცობა!

შესძლებს ამას „უშბას“ კოლექტივი? მართალია, იქ არიან ვარკვეული ნიჭის მქონე მწერლები (დია ჩიანელი, ქაქუ ჯორჯიკია), მაგრამ დეკლარაცია ასეთ იმედს არ გვაძლევს. „თემურ ნიდაგზე“ მდგომი კოლექტივი გვეუბნება: „ყველგან სილამაზე... ადამიანის კტუა—პოეზიის რაღო-სადგურათ“ და სხვა ასეთები. აქ აშკარათ არ არის ნათქვამი პოეზია პოეზიისათვის და თუ გინდა ქვა ქვაზე ნუ დარჩება, მაგრამ რაღაც ამის დამავარი კი არის.

ჩვენ ვამბობთ: მნიშვნელობა აქვს არა დეკლარაციას, არამედ პრაქტიკას, შემოქმედებას. ვნახოთ რას მოგვცემს „უშბა“ ამ მხრით.

„დანგრეული კოშკი“.

მიმდინარე სეზონში ბათუმის ქართულმა დრამამ დადგა არ. ჯაჯანაშვილის ახალი ორიგინალური დრამა „დანგრეული კოშკი“.

ჩვენი თეატრი ისე ღარიბია ორიგინალურ პიესებით, რომ ყოველ ახალ პიესას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევხედოთ. არ. ჯაჯანაშვილმა უთუოდ თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს ჩამორჩენილ დრამატურგიაში, მაგრამ ახალი სიტყვა მაინც ვერ სთქვა. ჩვენში ფეოდალიზმი ისეთი სახით, როგორც ავტორი ვაძლევს, მეცხრამეტე საუკუნეში დაინგრა. პიესის მთავარი აზრი შემდეგშია: ერთის მხრით ფეოდალური წესწყობილება და სოფლურ ცხოვრების პრიმიტივი (ბარელის ოჯახი), მეორეს მხრით კაპიტალიზმი, ინდუსტრია და ქალქის ასფალტი (ვახტანგი და შალვა). ორ ძალის შორის ხდება შეტაკება და ინდუსტრია ამარცხებს ფეოდალურ წესწყობილებას. მაინც, სკრის ხატის ტყეს და ანგრევს ასწლობით ამაყთ მდგომ კოშკს.

იღია, სიუჟეტი უკვე ისტორიულია, წარსულ საუკუნის, მაგრამ არც ისე შორი დრო უნდა ქონდეს ავტორს ადებულო. ყოველ შემთხვევაში თარიღი გამოურკვეველია, მაგრამ ამავე ხდება საქართველოში რკინის გზის გაყვანის შემდეგ.

ამ თარიღზე იმიტომ შეეჩრდით, რომ გამოვარკვიოთ რამდენათ სწორი მდგომა აქვს ავტორს თემისადმი და რამდენათ შესძლო მან თემის დასძლევვა. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ თემა ავტორს დაუძლეველი დარჩა. პიესა ვერ არის შეკერილი დამაკმაყოფილებლათ და ღიდალი ყალბი მდგომარეობა კულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

უპირველეს ყოვლისა თვით ვახტანგი. მართალია ჩვენ უკვე კაპიტალიზმი დავამარცხეთ და ესლა სოციალიზმს ვაშენებთ, მაგრამ იმ დროში, რომელსაც პიესა გვისახავს, კაპიტალიზმის დამყარება პროგრესიული ნაბიჯი იყო, ახალი გზა იყო და მაშასადამე მთელი ჩვენი სიმპატია ვახტანგის მხარეზე უნდა იყოს. ავტორმა კი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა ვახტანგი, ისეთი ტაქტიკა აქვს მთავარ გმირს, რომ ძალაუფლებით ანტიპატიას გაგრძნობინებთ. გონებით იცით, რომ თქვენი სიმპატია ვახტანგისკენ უნდა იყოს, მაგრამ მისი უზნეში მოქცევა გულს აბრუნებს მისაგან. არც ბიძინა ბარელის ტიპია სწორი. ზევით ვსთქვათ, რომ პიესის მოქმედება საქართველოში რკინის-გზის გაყვანის შემდეგ სწარმოებს.

ამ დროს კი მაინც, ე. ი. მრეწველობის, სიმდიდრის წინააღმდეგი ჩვენში ძვირი იყო. ჩვენ ვიცით შ. დალიანის ნიჭიერ პიესიდან „გუშინდელი“, რომ კოწია ჯიბით დაათრევდა მაინც („ნამდვილი ბარიალი“) და ეძებდა კაპიტალისტს, რომელიც მაინც დაამუშავებს დაიწყებდა. ბიძინა ბარელს ფულს აძლევენ, მანქანებს, მაგრამ მაინც ცდილობს კოშკის გადაჩენას.

განსაკუთრებით სუსტია მეოთხე მოქმედების ფინალი. მაყურებლის ინტერესი ფართოვდება, ელი ინტრიგის გახსნას, მაგრამ უშედეგო. შალვას უმნიშვნელო თქმა „ახალი ცხოვრება იმარჯვებს“ უყურადღებოთ რჩება. ბევრი ეგონა კიდევ, დადგმის დროს, რომ ვახტანგი მოკლა მამამ. ეს მოწმობს თუ რამდენათ გაუგებარია პიესა.

პიესაში ბევრი საინტერესო ადგილებიცაა, მაგრამ ამას მარტო შტრიხების ხასიათი აქვს. არ არის დამუშავებული. ავტორმა პიესა აუცილებლათ უნდა გადაამუშავოს, შეუფარდოს გარკვეულ ხანას მოქმედნი პირნი. ისტორიული პიესა ვარემე დროისა და სივრცისა წარმოუდგენელია.

ევროპული ბალი-რესტორანი

„გოგონი“

გადაღება საუკეთესო სადილ-ვახუაში

ჯაფარიძის და რუსთაველის ქუჩების კუთხე.



აქარისხანის ყიფიანის ღვინის საფუოგი სანტრეპეკომის
კამოს ქუჩაზე.

გოგონისთვის და აქ შეიძინეთ საუკეთესო ხარისხის ღვინოები,
ყიფიანის და სხვა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა .

აპარისტ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის უშუალო გამგებლობაში დაარსებულია გამომცემლობა

„ფ უ ხ ა რ ა“

ბათომი, მგ-მ-მე ინტერნაციონალის ქ. № 13.

1. ს ა კ უ თ ა რ ი ს ტ ა მ ბ ა

სტალინის ქ. № 5.

მიიღება შეკვეთების ყოველგვარ სასტამბო სა-
მუშაოზე: ბროშურები, ფურნალები, აფიშე-
ბი, ფურცლები, ბლანკები, საკანცელარიო
წიგნები, ანგარიშები, ხარჯთ-ადრიც. და სხვ.

ა) ყოველგვარ მხატვრულ სამუშაოს: პლაკატები, ლოზუნგები, ბაირაღები, წიგნების და
ფურნალების ყდები.

ბ) დეკორაციები შთელი მოწყობილებით.

ვ) აწყობს ქუჩებზე გაკვრას, დარიგებას და დატარებას აფიშების, ფურცლებ. და პლაკატ.
სარეკლამო ბიუროს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლება და აგრეთვე სავერ-
შოკო გამოწვევების აკრეფა აპარისტანის ფარგლებში.

გამგე ს. შუშარაძე.

2. ს ა კ უ თ ა რ ი გ ა მ ო ც ე მ ა :

ა) ქართულ ენაზე გაზეთი

„ფ უ ხ ა რ ა“

მ. გამომცემლობასთან არსებობს „სარამ-
ლა მო ბიურო“, რომელიც ასრულებს:

ბუხგალტერი სტარინცი.

„აჭარვაჭრობა“

ამით ზცხადებს სახელმწიფო და კერძო დაწესებულების და ზირთა საეურაღდებოთ, რომ

ს ა ჯ ა რ ო მ აჭ რ ო ბ ა

დანიშნულია სხვა და სხვა მოძრავ საქონლის გასაყიდათ, გრძელდება და იწარმოებს
ყოველ კვირა ოთხშაბათობით, ვიდრე საჯარო ვაჭრობით გასაყიდი საქონელი სავსე-
ბით არ გაიყიდება.

საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ბაქოს ქ. № 50. დაიწყება დღის 12 საათზე.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგი-
ნოს წინასწარ ორასი მანეთი.

დაფორილებით პირობების გაგება შეიძლება „აჭარვაჭრობაში“
კანონ ქ. № 5. დღის 10—12 საათ.

აჭარვაჭრობა.

რედაქტორი ბრ. ნუსუბიძე.